



ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის (არააუდირებული)



სარჩევი:

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება	6

შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ინფორმაცია სემენტების შესახებ	17
6. ამონაგები	20
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
8. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10. წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	21
11. მოგების გადასახადის ხარჯი	21
12. ძირითადი საშუალებები	22
13. ბიოლოგიური აქტივები	25
14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	25
15. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	26
16. მარაგები	28
17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29
18. ფული და ფულის ეკვივალენტები	30
19. სესხები და ობლიგაციები	30
20. გადავადებული შემოსავალი	31
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
22. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები	32
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
24. არამაკონტროლებელი წილი	33
25. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები	33
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	34
27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	35
შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	48

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		6 თვიანი	6 თვიანი	6 თვიანი	6 თვიანი
		პერიოდი	პერიოდი	პერიოდი	პერიოდი
		30.06.2022	30.06.2021	30.06.2022	30.06.2021
ამონაგები	6	32,783,943	50,763,116	29,313,864	48,189,670
თვითღირებულება	7	(25,932,121)	(32,378,938)	(23,663,608)	(30,442,720)
საერთო მოგება		6,851,822	18,384,178	5,650,256	17,746,950
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	8	(1,936,070)	(2,164,063)	(1,098,262)	(1,231,030)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,964,014)	(5,327,533)	(3,666,693)	(3,404,354)
წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	10	(1,926,441)	647,075	992,144	571,994
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(2,974,703)	11,539,657	1,877,445	13,683,560
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	22	969,766	5,969,244	969,766	5,969,244
წმინდა ფინანსური ხარჯები		(5,856,667)	(5,766,618)	(6,390,418)	(6,174,865)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან		7,021,067	5,566,256	5,856,255	4,321,811
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებიდან	15	-	-	(3,956,675)	(502,738)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(840,537)	17,308,539	(1,643,627)	17,297,012
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(94,988)	(129,126)	(94,988)	(129,126)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(935,525)	17,179,413	(1,738,615)	17,167,886
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(935,525)	17,179,413	(1,738,615)	17,167,886
წმინდა მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:					
დედა კომპანიის მფლობელებს		(905,525)	17,179,413		
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		(30,000)	-		
წმინდა მოგება/(ზარალი)		(935,525)	17,179,413		
სრული შემოსავალი/(ზარალი)					
დედა კომპანიის მფლობელებს		(905,525)	17,179,413		
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		(30,000)	-		
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(935,525)	17,179,413		

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ზურაბ ჩხაიძე
ფინანსური დირექტორი	_____	კობა ხარხელი
მთავარი ბუღალტერი	_____	თეა თეზიძე

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის
(ლარში)

შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია		
	6 თვიანი პერიოდი 30.06.2022	6 თვიანი პერიოდი 30.06.2021	6 თვიანი პერიოდი 30.06.2022	6 თვიანი პერიოდი 30.06.2021	
ამონაგები	6	32,783,943	50,763,116	29,313,864	48,189,670
თვითღირებულება	7	(25,932,121)	(32,378,938)	(23,663,608)	(30,442,720)
საერთო მოგება		6,851,822	18,384,178	5,650,256	17,746,950
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	8	(1,936,070)	(2,164,063)	(1,098,262)	(1,231,030)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,964,014)	(5,327,533)	(3,666,693)	(3,404,354)
წმინდა სხვა შემოსავალი/(ზარჯი)	10	(1,926,441)	647,075	992,144	571,994
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(2,974,703)	11,539,657	1,877,445	13,683,560
წმინდა მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	22	969,766	5,969,244	969,766	5,969,244
წმინდა ფინანსური ხარჯები		(5,856,667)	(5,766,618)	(6,390,418)	(6,174,865)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან		7,021,067	5,566,256	5,856,255	4,321,811
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებიდან	15	-	-	(3,956,675)	(502,738)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(840,537)	17,308,539	(1,643,627)	17,297,012
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(94,988)	(129,126)	(94,988)	(129,126)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(935,525)	17,179,413	(1,738,615)	17,167,886
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(935,525)	17,179,413	(1,738,615)	17,167,886
წმინდა მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:					
დედა კომპანიის მფლობელებს		(905,525)	17,179,413		
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		(30,000)	-		
წმინდა მოგება/(ზარალი)		(935,525)	17,179,413		
სრული შემოსავალი/(ზარალი)					
დედა კომპანიის მფლობელებს		(905,525)	17,179,413		
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		(30,000)	-		
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(935,525)	17,179,413		

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი




ზურაბ ჩხაიძე

ფინანსური დირექტორი



კობა ხარხელი

მთავარი ბუღალტერი



თეა თებიძე

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

ფინანსური მდგომარეობის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	12	185,605,852	183,853,627	95,970,820	95,331,553
ბიოლოგიური აქტივები	13	62,067,443	52,976,341	23,114,542	19,985,011
აქტივების გამოყენების უფლება	14	1,589,079	1,621,693	1,589,077	1,621,691
არამატერიალური აქტივები		393,337	396,607	176,988	167,868
კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	15	-	-	107,365,656	104,648,096
მარაგები	16	26,181,469	26,250,790	-	-
გაცემული სესხები		-	-	539,792	527,241
		275,837,180	265,099,058	228,756,875	222,281,460
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	16	61,739,202	79,467,345	56,452,909	63,974,886
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	15,934,246	14,063,976	14,137,731	18,230,414
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით	22	-	175,801	-	175,801
ფული და ფულის ეკვივალენტები	18	482,460	5,542,399	183,911	4,890,230
		78,155,908	99,249,521	70,774,551	87,271,331
სულ აქტივები		353,993,088	364,348,579	299,531,426	309,552,791
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი					
კაპიტალი		408,374	408,374	408,374	408,374
გაუნაწილებელი მოგება		132,418,791	133,887,553	124,608,185	126,910,037
სულ დედა კომპანიის მფლობელების კაპიტალი		132,827,165	134,295,927	125,016,559	127,318,411
არამაკონტროლებელი წილი		(60,920)	(30,920)	-	-
სულ კაპიტალი		132,766,245	134,265,007	125,016,559	127,318,411
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები	19	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	12	1,658,229	1,615,421	1,658,229	1,615,421
გადავადებული შემოსავალი	20	3,174,082	3,772,037	3,093,842	3,691,797
		4,832,311	5,387,458	4,752,071	5,307,218
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	18,919,221	16,195,626	14,437,165	12,893,925
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით	22	-	228,849	-	228,849
სესხები	19	197,460,759	208,257,310	155,311,079	163,790,059
საიჯარო ვალდებულებები	12	14,552	14,329	14,552	14,329
		216,394,532	224,696,114	169,762,796	176,927,162
სულ ვალდებულებები		221,226,843	230,083,572	174,514,867	182,234,380
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		353,993,088	364,348,579	299,531,426	309,552,791

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

კაპიტალში ცვლილებების შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

	ჯგუფი				
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ დედა კომპანიის მფლობელების კაპიტალი	არა- მაკონტროლებე ლი წილი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	408,374	102,906,814	103,315,188	-	103,315,188
მოგების განაწილება	-	(1,254,351)	(1,254,351)	-	(1,254,351)
სრული შემოსავალი	-	17,179,413	17,179,413	-	17,179,413
2021 წლის 30 ივნისის	408,374	118,831,876	119,240,250	-	119,240,250
	408,374	133,887,553	134,295,927	(30,920)	134,265,007
მოგების განაწილება	-	(563,237)	(563,237)	-	(563,237)
სრული ზარალი	-	(905,525)	(905,525)	(30,000)	(935,525)
2022 წლის 30 ივნისის	408,374	132,418,791	132,827,165	(60,920)	132,766,245

	კომპანია				
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ დედა კომპანიის მფლობელების კაპიტალი	არა- მაკონტროლებე ლი წილი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	408,374	98,357,383	98,765,757	-	98,765,757
მოგების განაწილება	-	(1,254,351)	(1,254,351)	-	(1,254,351)
სრული შემოსავალი	-	17,167,886	17,167,886	-	17,167,886
2021 წლის 30 ივნისის	408,374	114,270,918	114,679,292	-	114,679,292
	408,374	126,910,037	127,318,411	-	127,318,411
მოგების განაწილება	-	(563,237)	(563,237)	-	(563,237)
სრული ზარალი	-	(1,738,615)	(1,738,615)	-	(1,738,615)
2022 წლის 30 ივნისის	408,374	124,608,185	125,016,559	-	125,016,559

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

ფულადი სახსრების მოძრაობის შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	ჯგუფი		კომპანია	
		6 თვისანი	6 თვისანი	6 თვისანი	6 თვისანი
		პერიოდი	პერიოდი	პერიოდი	პერიოდი
		30.06.2022	30.06.2021	30.06.2022	30.06.2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან					
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(840,537)	17,308,539	(1,643,627)	17,297,012
კორექტირებები:					
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში	15	-	-	3,956,675	502,738
ფინანსური ხარჯი		5,856,667	5,766,618	6,390,418	6,174,865
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	17	308,913	192,383	312,344	192,383
ცვეთა და ამორტიზაცია		3,178,003	3,322,105	1,894,878	2,047,299
სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია	20	(597,955)	(350,000)	(597,955)	(350,000)
ზარალი მარაგების გაუფასურებიდან	9	446,232	480,272	391,585	393,794
უსასყიდლო მიწოდების ხარჯი		187,570	97,736	187,570	97,736
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული					
ფინანსური ინსტრუმენტებიდან	22	(969,766)	(5,969,244)	(969,766)	(5,969,244)
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან		(7,021,067)	(5,566,256)	(5,856,255)	(4,321,811)
		548,060	15,282,153	4,065,867	16,064,772
ცვლილება სამუშაო კაპიტალში:					
მარაგების შემცირება		17,105,333	5,970,140	6,854,822	6,948,969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(4,131,643)	2,655,157	2,205,093	2,368,582
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,460,312	1,719,318	1,089,391	1,766,522
		15,982,062	25,626,768	14,215,173	27,148,845
გადახდილი პროცენტები	14;19	(8,848,631)	(9,083,154)	(6,952,292)	(6,908,006)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,133,431	16,543,614	7,262,881	20,240,839
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან					
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	20	-	506,602	-	-
ინვესტიციების ზრდა შვილობილ კომპანიებში	15	-	-	(6,674,235)	(24,309,253)
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური					
ინსტრუმენტებისთვის გასული წმინდა თანხა		916,719	121,072	969,766	121,072
საპროცენტო შემოსავალი		70,414	-	15,869	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,716,575)	(8,058,231)	(2,350,316)	(4,060,774)
ბიოლოგიური აქტივების შეძენა		(6,166,722)	(8,661,407)	(958,995)	(4,707,840)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(8,896,164)	(16,091,964)	(8,997,911)	(32,956,795)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან					
გადახდილი დივიდენდები		(563,237)	(1,254,351)	(563,237)	(1,254,351)
სესხების აღება	19	21,277,628	26,251,080	16,184,193	25,740,337
სესხების დაფარვა	19	(24,101,097)	(29,853,220)	(18,656,009)	(16,584,209)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(3,386,706)	(4,856,491)	(3,035,053)	7,901,777
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(5,149,439)	(4,404,841)	(4,770,083)	(4,814,179)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში.		5,542,399	6,115,994	4,890,230	5,783,953
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		89,500	(11,163)	63,764	(23,073)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18	482,460	1,699,990	183,911	946,701

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2001 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მარეგისტრირებული ორგანო: გლდან-ნაძალადევის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ. №12. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება და წარმოებული პროდუქციის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის 100%-ს ფლობდა ზურაბ ჩხაიძე.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ საწარმოს. ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის სტრუქტურას.

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	30.06.2021	31.12.2021	საოპერაციო საქმიანობა
შვილობილი კომპანიები				
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	საქართველო	100%	100%	ხილის კონსერვების წარმოება
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური	საქართველო	100%	100%	ხილის კონსერვების წარმოება
შპს ქედის ღვინის ქარხანა	საქართველო	100%	100%	სპირტიანი სასმელების წარმოება
შპს როიალ ასკანა	საქართველო	100%	100%	მშენებარე სასტუმრო
შპს გურია პალასი	საქართველო	100%	100%	მშენებარე სასტუმრო
შპს კატევე დეველოპმენტი	საქართველო	100%	100%	სასტუმრო, დეველოპმენტი
შპს კატევე ხობი	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს კატევე ტურს	საქართველო	100%	100%	სასტუმრო
შპს შატო მანავი	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს გურჯაანი აგრო	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს სადისტრიბუციო კომპანია ძველი კახეთი	საქართველო	100%	100%	დისტრიბუცია
შპს ქართული ღვინის ბანკი	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს კატევე კაპიტალი	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს ვილა ქინძმარაული	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა, დეველოპმენტი
KTW Import and Distribution	პოლონეთი	90%	90%	დისტრიბუცია
შპს კატევე ოილ	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
შპს კახეთის განვითარების თანაინვესტირების ფონდი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
შპს სოფლის მეურნეობის თანაინვესტირების ფონდი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
საქართველოს აგრობიზნესის საბჭო	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
ერთობლივი საწარმო				
შპს ქართული ზეთისხილი და კატევე.კო	საქართველო	50%	50%	უმოქმედო
ინვესტიციები				
სს ვილა ახაშენი	საქართველო	536 აქცია	536 აქცია	უმოქმედო

შვილობილი კომპანიები - კონსოლიდირდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. უმოქმედო სტატუსის მქონე კომპანიები არ ფლობენ აქტივებს და ვალდებულებას 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გააჩნიათ არსებითი საქმიანობა 2022 და 2021 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით (წილობრივი მეთოდით).

ერთობლივი საწარმო - საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ზეთისხილის ბაღების გაშენება. ერთობლივი საწარმო არ ფლობდა აქტივებს და ვალდებულებას 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გააჩნია არსებითი საქმიანობა საქმიანობა 2022 და 2021 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით (წილობრივი მეთოდით). ინვესტიციის ღირებულება უტოლდება ნულს.

ინვესტიციები - კომპანია ფლობს სს ვილა ახაშენის 536 ცალს ბ კატეგორიის აქციას. ბ კატეგორიის აქციის მფლობელს არ აქვთ კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ინვესტიციაზე. სს ვილა ახაშენი არ ფლობდა აქტივებს და ვალდებულებას 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გააჩნია არსებითი საქმიანობა 2022 და 2021 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის. კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც უტოლდება ნულს.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი/კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ჯგუფი/კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. გარდა რეალური ღირებულების აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა. ჯგუფის/კომპანიის შუალედური საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 6 თვიან პერიოდს 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი/კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი/კომპანია საქართველოში. შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის/კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის/კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის და რუსეთ-უკრაინის გავლენის ანალიზი ჯგუფის/კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის/კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

გარემოებები რომლებიც მიუთითებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების მოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. როგორც ეს განმარტებულია მე-6 შენიშვნაში, ჯგუფის/კომპანიის ამონაგების არსებითი ნაწილი ფორმირდება რუსეთის და უკრაინის ბაზარზე პროდუქციის მიწოდებით. საომარი მოქმედებების დაწყებას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდა ჯგუფის/კომპანიის ამონაგებზე. კერძოდ, უკრაინის და რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის მიწოდება. ომის დაწყების საწყის ეტაპზე პროდუქციის მიწოდება სრულად შეწყდა რუსეთის და უკრაინის ბაზარზე, რაც ნაწილობრივ აღდგა 2022 წლის მარტიდან რუსეთის ბაზარზე და 2022 წლის მაისიდან უკრაინის ბაზარზე.

მოცემულ მოვლენასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებულ კომპანიების ნაწილზე გავრცელდა სანქციები. რუსეთის ფედერაციისთვის დაწესებული საერთაშორისო სანქციების გამო, მოსალოდნელია რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული კომპანიების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ამასთანავე, არსებობს რისკი, რომ რუსეთში რეგისტრირებულმა კომპანიებმა ვერ შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

საომარი მოქმედებების განვითარების შესაძლო სცენარების და მოსალოდნელი შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებას შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოვლენათა უარყოფითმა განვითარებამ და სანქციების გაფართოებამ რუსეთის ფედერაციაზე და რუსეთში რეგისტრირებულ

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანიებზე. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენის (ან შესაძლო გავლენის) გრძელვადიან ეფექტს ჯგუფის/კომპანიის საქმიანობაზე.

COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით დაწესებულმა რეგულაციებმა და შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯგუფის საინვესტიციო პროექტებზე და ტურიზმის სეგმენტზე. მნიშვნელოვნად შეფერხდა კაპიტალური პროექტები დეველოპერულ და ტურიზმის სეგმენტში. შედეგად, აღნიშნული ინვესტიციები ვერ უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების იმ მოცულობით გენერირებას, რომელიც საჭიროა აღნიშნული პროექტებისთვის აღებული სესხების მიმდინარე ნაწილის და საპროცენტო ხარჯების დასაფარად.

ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა 2022 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდის შედეგები, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოკლევადიანი ლიკვიდურობის უარყოფითი მაჩვენებელი. ხელმძღვანელობამ შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის მიხედვით:

- 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებებიდან მომავალი ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი დაუდისკონტირებელი ფულადი ნაკადები შეადგენს 101,329,891 ლარს ჯგუფისთვის და 89,265,467 ლარს კომპანიისთვის (მე-4 განმარტებითი შენიშვნა).
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი აქტივები შეადგენს 78,155,908 ლარს ჯგუფისთვის და 70,774,551 ლარს კომპანიისთვის;
- მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტირებული წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მნიშვნელოვნად ჩამორჩება საფინანსო საქმიანობისთვის გასავალ ფულად ნაკადებს.

ხელმძღვანელობის მომავალი წლის პროგნოზზე დაყრდნობით, ჯგუფი/კომპანია ვერ შეძლებს მიმდინარე ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად.

საოპერაციო საქმიანობის მიღებული ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან.

ჯგუფის/კომპანიის მიერ მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს ძირითადი ფინანსური შეზღუდვაა: სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები 1.3. ჯგუფი/კომპანია 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. ჯგუფმა/კომპანიამ 2022 წელს გამსესხებელთან მიაღწია შეთანხმებას, რომ 2021 წლის ფინანსური შედეგების და 2022 წლის პირველი კვარტლის შედეგების საფუძველზე ფინანსური შეზღუდვების დარღვევის გამო გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის ნაწილობრივ ან სრულად დაფარვას 2022 წლის ბოლომდე. სესხის მომსახურების კოეფიციენტი იანგარიშება ყოველკვარტლურად. ხელმძღვანელობის შეფასებით შუალედური ანგარიშგების დამტკიცებიდან მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი/კომპანია ვერ შეძლებს სესხის მომსახურების კოეფიციენტის დაკმაყოფილებას, რაც ბანკს მიანიჭებს უფლებას მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა. განუსაზღვრელია ბანკი გამოიყენებს თუ არა აღნიშნულ უფლებას ანგარიშგების დამტკიცებიდან მომდევნო 1 წლის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის გეგმა ჯგუფის/კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების შესანარჩუნებლად

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ჯგუფი/კომპანია შეძლებს:

- უკრაინის და რუსეთის ბაზარზე პროდუქციის მიწოდების მნიშვნელოვნად აღდგენას;
- გამსესხებელთან მოლაპარაკებების საფუძველზე, სესხების რესტრუქტურისაციას და გადახდის გრაფიკის განახლებას ჯგუფის/კომპანიის თავისუფალი ფულადი ნაკადების შესაბამისად;
- გამსესხებელთან მოლაპარაკებას არ გამოიყენოს სესხის ვადაზე ადრე დაფარვის მოთხოვნა სესხის მომსახურების კოეფიციენტის მოსალოდნელი დარღვევის გამო ანგარიშგების დამტკიცებიდან მომდევნო 1 წლის განმავლობაში;
- ობლიგაციების ხელახალ განთავსებას საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან გადაფარვას ფინანსური ინსტიტუტებიდან დამატებითი დაფინანსების მოზიდვით;
- კრედიტორებთან შეთანხმებას გადახდის შეღავათიან გრაფიკზე;

გამსესხებელთან და კრედიტორებთან მოლაპარაკებების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია. ხელმძღვანელობა საიმედოდ ვერ აფასებს ობლიგაციების ხელახალი განთავსებისა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რადგან ინტერესი კომპანიის ობლიგაციებთან მიმართებით მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომპანიის გადახდისუნარიანობის მაჩვენებელზე და რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებულ სხვა გარემოებებზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა გეგმავს ბაზრის დივერსიფიკაციას, რის საფუძველზეც იმედოვნებს რომ შემცირდება ჯგუფის/კომპანიის დამოკიდებულება უკრაინის და რუსეთის ბაზარზე. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით იგეგმება რეალიზაცია წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობამ შესაძლებელია განიხილოს დეველოპერული პროექტებისთვის არსებული მარაგების (მიწა და შენობების) ნაწილობრივი ან სრული რეალიზაცია პროექტის დასრულების გარეშე.

ახალი ფას-ების მიღება

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2022 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის/კომპანიის 2022 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდის შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (შესწორება - ბასს 37);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (შესწორება - ბასს 16);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (შესწორება - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41);
- კონცეპტუალური მიდგომა (შესწორება - ფასს 3).

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის/კომპანიის შუალედური კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ჯგუფმა/კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს/კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი/კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი/კომპანია შეიმუშავებს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებს და გადაწყვეტილებებს მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის/კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი/კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა/კომპანიამ არ შეცვალა თავისი ძირითადი საშუალებების და გრძელვადიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი/კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი/კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი/კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 სასამართლო დავები

ჯგუფი/კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი/კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.5 უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულება

ჯგუფი/კომპანია აფასებს მოსალოდნელ ფორვარდულ გაცვლით კურსს, რომელსაც იყენებს უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულების შეფასებისთვის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით. სავალუტო კურსის ფორმირებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი კომპლექსურად. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის/კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი/კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის/კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის/კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს, საიჯარო ვალდებულებებს, რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის/კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს/კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები და რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,637,621	9,563,841	13,587,643	15,831,324
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით	-	175,801	-	175,801
გაცემული სესხები	-	-	539,792	527,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	482,460	5,542,399	183,911	4,890,230
სულ ფინანსური აქტივები	14,120,081	15,282,041	14,311,346	21,424,596
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,018,063	15,283,511	12,925,061	12,503,738
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით	-	228,849	-	228,849
საიჯარო ვალდებულებები	1,672,781	1,629,750	1,672,781	1,629,750
სესხები და ობლიგაციები	197,460,759	208,257,310	155,311,079	163,790,059
სულ ფინანსური ვალდებულებები	216,151,603	225,399,420	169,908,921	178,152,396

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი/კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი/კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი/კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი/კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები ცვლილების მოგება ან ზარალში აღრიცხვით

ფასთა შორის სხვაობის კონტრაქტების და ელექტრონული ფულის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ფასდება 1-ლი დონის ინფორმაციის გამოყენებით. უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტების რეალური ღირებულება ფასდება მე-2 დონის ინფორმაციის გამოყენებით მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოდელის საფუძველზე.

ამორტიზებადი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები - ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

ამორტიზებადი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები - ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების და ობლიგაციების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 8%-დან 15%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. მიღებული სესხების და ობლიგაციების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 12%-დან 16%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი/კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი/კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის/კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია არის

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დაიცვას ჯგუფი/კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

	ჯგუფი					
	30.06.2022			31.12.2021		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,099,468	1,146,780	-	8,958,251	529,740	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით	-	-	-	170,201	5,600	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	141,009	41,855	37,326	99,661	80,904	5,175
სულ ფინანსური აქტივები	13,240,477	1,188,635	37,326	9,228,113	616,244	5,175
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,286,710	1,011,982	-	4,616,513	1,266,602	5,008
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით	-	-	-	228,849	-	-
სესხები და ობლიგაციები	150,555,316	16,154,446	-	157,190,482	3,695,483	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	153,842,026	17,166,428	-	162,035,844	4,962,085	5,008
წმინდა სავალუტო პოზიცია	(140,601,549)	(15,977,793)	37,326	(152,807,731)	(4,345,841)	167

	კომპანია					
	30.06.2022			31.12.2021		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,323,495	1,124,967	-	8,841,111	880,640	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით	-	-	-	170,201	5,600	-
გაცემული სესხები	-	539,792	-	-	527,241	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	114,649	-	37,326	2,963	2,289	5,175
სულ ფინანსური აქტივები	6,438,144	1,664,759	37,326	9,014,275	1,415,770	5,175
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,213,003	995,518	-	4,417,858	1,239,456	5,008
ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით	-	-	-	228,849	-	-
სესხები და ობლიგაციები	118,437,892	11,331,304	-	123,007,708	3,720,898	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	121,650,895	12,326,822	-	127,654,415	4,960,354	5,008
წმინდა სავალუტო პოზიცია	(115,212,751)	(10,662,063)	37,326	(118,640,140)	(3,544,584)	167

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს/კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი/კომპანია იყენებს უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში.

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ ლარი + 20%	ევრო/ ლარი - 20%	ფუნტი/ ლარი + 20%	ფუნტი/ ლარი - 20%
ჯგუფი						
მოგება/(ზარალი) 2022 6 თვე	(28,120,310)	28,120,310	(3,195,559)	3,195,559	7,465	(7,465)
მოგება/(ზარალი) 2021	(30,561,546)	30,561,546	(869,168)	869,168	33	(33)
კომპანია						
მოგება/(ზარალი) 2022 6 თვე	(23,042,550)	23,042,550	(2,132,413)	2,132,413	7,465	(7,465)
მოგება/(ზარალი) 2021	(23,728,028)	23,728,028	(708,917)	708,917	33	(33)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი/კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონიერულობის ფარგლებში. ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას.

	ჯგუფი		კომპანია	
	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით	ზრდა 1%-ით	შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) 2022 6 თვე	(1,558,750)	1,558,750	(1,147,567)	1,147,567
მოგება/(ზარალი) 2021	(1,633,116)	1,633,116	(1,199,442)	1,199,442

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მგრძნობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს რომ ჯგუფის/კომპანიის აქტივები და ვალდებულებები იმართება აქტიურად. შესაბამისად, ჯგუფის/კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს განსხვავებული საბაზრო ფაქტორების ცვლილებების დროს. ჯგუფის/კომპანიის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია გაუმკლავდეს ბაზარზე არასასურველი ცვლილების ეფექტს. საინვესტიციო ბაზრების სწრაფად ცვლილების შესაბამისად, ხელმძღვანელობა ახორციელებს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის ცვლილებასა და სხვა დამცავ ქმედებებს. შედეგად, დაშვებების რეალურმა ცვლილებამ შესაძლებელია გავლენა არ მოახდინოს ჯგუფის/კომპანიის ვალდებულებებზე.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზრუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური პოტენციური რისკის დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის/კომპანიის მოსაზრებას ბაზრის შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის/კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი/კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდადლი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი/კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი/კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლის გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,637,621	9,563,841	13,587,643	15,831,324
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	-	175,801	-	175,801
გაცემული სესხები	-	-	539,792	527,241
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	467,586	5,531,601	174,578	4,884,920
სულ	14,105,207	15,271,243	14,302,013	21,419,286

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის შუალედურ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს/კომპანიას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

	ჯგუფი			სულ
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,018,063	-	-	17,018,063
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	240,459	961,836	4,802,607	6,004,902
სესხები და ობლიგაციები	84,071,369	134,803,360	10,815,307	229,690,036
სულ ფინანსური ვალდებულებები 30.06.2022	101,329,891	135,765,196	15,617,914	252,713,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,283,511	-	-	15,283,511
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	228,849	-	-	228,849
საიჯარო ვალდებულებები	240,459	961,836	4,922,607	6,124,902
სესხები და ობლიგაციები	92,982,114	142,173,996	11,406,655	246,562,765
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2021	108,734,933	143,135,832	16,329,262	268,200,027

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა.

	კომპანია			სულ
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,925,061	-	-	12,925,061
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	240,459	961,836	4,802,607	6,004,902
სესხები და ობლიგაციები	76,099,947	92,620,123	9,079,557	177,799,627
სულ ფინანსური ვალდებულებები 30.06.2022	89,265,467	93,581,959	13,882,164	196,729,590
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,503,738	-	-	12,503,738
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	228,849	-	-	228,849
საიჯარო ვალდებულებები	240,459	961,836	4,922,607	6,124,902
სესხები და ობლიგაციები	85,229,344	97,676,582	9,575,242	192,481,168
სულ ფინანსური ვალდებულებები 31.12.2021	98,202,390	98,638,418	14,497,849	211,338,657

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

2020 წლიდან ჯგუფმა განათავსა ობლიგაციები საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. შესაბამისად, ჯგუფი განმარტავს ინფორმაციას სეგმენტების შესახებ. რადგანაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამავე დროს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც, სეგმენტური ინფორმაცია წარდგენილია მხოლოდ კონსოლიდირებულ დონეზე.

პროდუქციისა და მომსახურების ტიპების აღწერა, საიდანაც თითოეული საანგარიშო სეგმენტი იღებს თავის შემოსავალს

ჯგუფს აქვს ოთხი ძირითადი სეგმენტი:

(ა) ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია - სეგმენტი მონაწილეობს ღვინის და ბრენდის წარმოებასა და განაწილებაში და ჯგუფის ბიზნესის უდიდეს ნაწილს შეადგენს, რაც ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 90.8% -ს (2021 წლის 6 თვე - 95.4%). სეგმენტის ამონაგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსეთ-უკრაინის ომმა.

(ბ) სასტუმრო, სარესტორნო და სხვა დაკავშირებული მომსახურება (HoReCa) - სეგმენტი მონაწილეობს ტურიზმის და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაში. ჯგუფს აქვს რამდენიმე სასტუმრო და რესტორანი საქართველოს ტერიტორიაზე. სასტუმროების ნაწილი არის დასრულებული და ფუნქციონირებადი, ნაწილი იმყოფება მშენებლობის სტადიაზე. საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული სეგმენტი ქმნის ჯგუფის გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგების 6.1%-ს (2021 წლის 6 თვე - 2.3%). შესაძარის პერიოდში ამონაგებზე არსებითი გავლენა მოახდინა პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი ყურადღებით აკონტროლებს აღნიშნულ სეგმენტს, როგორც პოტენციური ზრდის ბიზნეს სეგმენტს და იმედოვნებს, რომ მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის ამონაგების ზრდას.

გ) სასოფლო სამეურნეო საქმიანობა - სეგმენტის საქმიანობას წარმოადგენს მრავალწლიანი ნარგავების გაშენება ნაყოფის მიღების მიზნით. ჯგუფი ძირითადად ფლობს მსხმოიარე და ზრდის ფაზაში მყოფ ვენახებს. ასევე, სეგმენტი მოიცავს ზრდის ფაზაში მყოფ ისეთ კულტურებს, როგორიცაა თხილის, ზეთისხილის და ხილის ბაღები. ჯგუფი ფლობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოებისთვის შეძენილ მიწის ნაკვეთებს. მრავალწლიანი ნარგავებიდან მიღებული ნაყოფის არსებითი ნაწილი გამოიყენება ჯგუფის სხვა სეგმენტების მიერ საბოლოო პროდუქციის საწარმოებლად. ჯგუფში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი აღნიშნულ სეგმენტს განიხილავს ჯგუფისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სეგმენტად და იმედოვნებს, რომ სეგმენტი მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის შიდა მომარაგებას ნედლეულით. სეგმენტს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნია შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქტის საწყისი აღიარებიდან, რადგან ჯგუფის მფლობელობაში არსებული მრავალწლიანი ნარგავებიდან ნაყოფის მიღება წლის მეორე ნახევარში.

დ) დეველოპერული საქმიანობა - სეგმენტის საქმიანობას წარმოადგენს დეველოპერული პროექტების განხორციელება. ჯგუფი ძირითადად ფლობს მიწებს თბილისში და კახეთის რეგიონში. თბილისში ჯგუფი გეგმავს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას ფიროსმანის და ტარიელის ქუჩაზე.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

კახეთის რეგიონში ჯგუფი გეგმავს მაღალი კლასის ვილების გაშენებას შემდგომი რეალიზაციის მიზნით. კოვიდ 19-ით გამოწვეულმა ფაქტორებმა უარყოფითად იმოქმედა ჯგუფის დეველოპერულ საქმიანობაზე. 2022 წლის 6 თვის განმავლობაში ჯგუფს არ განუხორციელებია აქტიური სამუშაოები ამ მიმართულებით. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი ყურადღებით აკონტროლებს აღნიშნულ სეგმენტს, როგორც პოტენციური ზრდის ბიზნეს სეგმენტს და იმედოვნებს, რომ მომავალში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯგუფის ამონაგების ზრდას.

ე) სხვა სეგმენტი - მოიცავს კომპოტების, ჯემების, მურაბების, ტყემლების და სხვა მსგავსი საკვები პროდუქტების წარმოების მიმართულებებს. აღნიშნული პროდუქტების საწარმოებლად ჯგუფი ფლობს ქარხანას ქედაში და ჩოხატაურში. სეგმენტის მთლიანი აქტივები და მიღებული ამონაგები ჯგუფის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს და არ აკმაყოფილებს საანგარიშგებო სეგმენტის რაოდენობრივი ზღვრების კრიტერიუმებიდან არცერთს.

ფაქტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობა იყენებდა ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტების დასადგენად

ჯგუფის საანგარიშგებო სეგმენტები წარმოადგენს სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც გვთავაზობენ სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებას. მათი მართვა ცალკე ხდება, რადგან თითოეული ბიზნესი მოითხოვს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მარკეტინგულ სტრატეგიას.

ჯგუფი იყენებს რაოდენობრივი ზღვრების ტესტს საანგარიშგებო სეგმენტის იდენტიფიცირებისთვის. ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული საანგარიშგებო სეგმენტი ფლობს სეგმენტების გაერთიანებული აქტივების 10%-ზე მეტს.

ხელმძღვანელობა ახორციელებს სეგმენტების აგრეგირებას, როდესაც მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და ეს სეგმენტები მსგავსია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის მიხედვით:

- ა) პროდუქციისა და მომსახურების ხასიათი;
- ბ) საწარმოო პროცესების ხასიათი;
- გ) პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების ტიპი ან კატეგორია;
- დ) პროდუქციის განაწილების ან მომსახურების გასაწევად გამოყენებული მეთოდები;
- ე) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი.

ხელმძღვანელობამ განახორციელა შემდეგი სეგმენტების აგრეგირება: სოფლი მეურნეობის საქმიანობა, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა (HoReCa), დეველოპერული საქმიანობა.

საოპერაციო სეგმენტების შესახებ ანგარიშგება ხორციელდება საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღები მთავარი პირისთვის მიწოდებული შიდა ანგარიშგების შესაბამისად. საოპერაციო გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირს წარმოადგენს შშობელი საწარმოს გენერალური დირექტორი.

საოპერაციო სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასება

ჯგუფი აფასებს სეგმენტურ საქმიანობას ფასს-ის შესაბამისად გაანგარიშებული ოპერაციიდან მიღებული მოგების ან ზარალის საფუძველზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის ჯგუფი სეგმენტზე არ ანაწილებს შემდეგ ხარჯებს:

- სხვა არაგანმეორებითი შემოსავალი და ხარჯი,
- წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებებიდან;
- ფინანსური ხარჯები;
- ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან

ჯგუფის სეგმენტების აქტივები განლაგებულია საქართველოში, ამიტომ ჯგუფი არ გაშიფრავს ინფორმაციას აქტივების გეოგრაფიული განაწილების შესახებ. ჯგუფში შემავალი პოლონეთში რეგისტრირებული კომპანია KTW Import and Distribution ფლობს მხოლოდ მოკლევადიან აქტივებს ჯამური თანხით 400,000 ლარი. სეგმენტის აქტივები გამორიცხავს სათაო ოფისის აქტივებს, რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, ფული და ფულის ეკვივალენტებს. სეგმენტური ვალდებულებები გამორიცხავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს და რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს სეგმენტების საქმიანობის შედეგებს.

6 თვიანი პერიოდი დასრულებული 30.06.2022

	ჯგუფი					სეგმენტების მთლიანი მაჩვენებელი
	ალკოჰოლური სასმელები	ტურიზმი (HoReCa)	სასოფლო სამეურნეო საქმიანობა	სამშენებლო საქმიანობა	სხვა	
ამონაგები	29,777,234	2,015,892	-	-	990,817	32,783,943
თვითღირებულება	(23,262,938)	(1,956,457)	-	-	(712,726)	(25,932,121)
საერთო მოგება	6,514,296	59,435	-	-	278,091	6,851,822
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(1,905,423)	(30,007)	-	-	(640)	(1,936,070)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,797,497)	(649,041)	(966,922)	(219,033)	(331,521)	(5,964,014)
წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	597,955	-	-	-	-	597,955
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	1,409,331	(619,613)	(966,922)	(219,033)	(54,070)	(450,307)

6 თვიანი პერიოდი დასრულებული 30.06.2021

	ჯგუფი					სეგმენტების მთლიანი მაჩვენებელი
	ალკოჰოლური სასმელები	ტურიზმი (HoReCa)	სასოფლო სამეურნეო საქმიანობა	სამშენებლო საქმიანობა	სხვა	
ამონაგები	48,447,560	1,164,792	-	-	1,150,764	50,763,116
თვითღირებულება	(30,197,546)	(1,457,200)	-	-	(724,192)	(32,378,938)
საერთო მოგება	18,250,014	(292,408)	-	-	426,572	18,384,178
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(1,736,095)	(53,412)	-	-	(374,556)	(2,164,063)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,332,916)	(611,265)	(842,830)	(146,676)	(393,846)	(5,327,533)
წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	571,994	-	75,081	-	-	647,075
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	13,752,997	(957,085)	(767,749)	(146,676)	(341,830)	11,539,657

ჯგუფი ძირითად მომხმარებლებად განსაზღვრავს იმ მომხმარებლებს, რომლიდანაც მიღებული ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში უდრის ან აღემატება ჯგუფის ამონაგების 10%-ს. ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები პერიოდის მიხედვით ცვალებადია, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი მომხმარებლები მიმდინარე და შესადარის საანგარიშგებო პერიოდში შესაძლებელია იყოს სხვადასხვა კონტრაგენტი. აღნიშნული მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგები წარდგენილია ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაციის სეგმენტში. ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის ძირითადი მომხმარებლებიდან მიღებულ ამონაგებს.

	ჯგუფი			
	2022		2021	
	ამონაგები	წილი მთლიან ამონაგებში	ამონაგები	წილი მთლიან ამონაგებში
ძირითადი მომხმარებელი 1	7,521,028	25%	20,422,185	40%
ძირითადი მომხმარებელი 2	6,196,144	21%	9,155,616	18%
ძირითადი მომხმარებელი 3	5,785,771	19%	4,987,417	10%
ძირითადი მომხმარებელი 4	2,650,466	9%	2,964,462	6%
სულ	22,153,409	74%	37,461,791	74%

გარე მომხმარებლების მიხედვით ჯგუფის ამონაგების გეოგრაფიული განაწილება იხილეთ მე-6 განმარტებითი შენიშვნაში.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

6. ამონაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
საერთაშორისო ბაზარი				
რუსეთი	16,149,091	22,992,700	16,149,091	22,992,700
უკრაინა	7,698,196	20,973,428	7,698,196	20,973,428
მოლდოვა	1,052,163	817,753	1,052,163	817,753
ბელარუსი	511,507	218,219	511,507	218,219
ჩინეთი	380,958	906,852	380,958	906,852
აშშ	285,745	-	285,745	-
დიდი ბრიტანეთი	241,097	623,148	241,097	623,148
სხვა	918,004	779,106	787,257	752,562
სულ ამონაგები ექსპორტიდან	27,236,761	47,311,206	27,106,014	47,284,662
ადგილობრივი ბაზარი				
საბითუმო რეალიზაცია	1,535,980	722,439	633,106	268,583
საცალო რეალიზაცია	1,004,493	413,915	1,004,493	365,265
სულ ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	29,777,234	48,447,560	28,743,613	47,918,510
სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება	2,015,892	1,164,792	570,251	271,160
ხილის კონსერვების რეალიზაცია	990,817	1,150,764	-	-
სულ	32,783,943	50,763,116	29,313,864	48,189,670

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
ალკოჰოლური სასმელების თვითღირებულება:				
ექსპორტი	(22,015,836)	(29,539,359)	(22,033,997)	(29,516,391)
ადგილობრივი ბაზარი - საბითუმო	(682,049)	(406,790)	(554,558)	(173,986)
ადგილობრივი ბაზარი - საცალო	(565,053)	(251,397)	(565,053)	(207,066)
სულ ალკოჰოლური სასმელების თვითღირებულება	(23,262,938)	(30,197,546)	(23,153,608)	(29,897,443)
სასტუმრო, სარესტორნო და სხვა მომსახურების თვითღირებულება	(1,956,457)	(1,457,200)	(510,000)	(545,277)
ხილის კონსერვების თვითღირებულება	(712,726)	(724,192)	-	-
სულ	(25,932,121)	(32,378,938)	(23,663,608)	(30,442,720)

8. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(955,612)	(984,019)	(569,749)	(477,116)
მიწოდების ხარჯი	(555,888)	(552,735)	(423,117)	(395,433)
რეკლამის ხარჯი	(189,091)	(332,456)	(40,969)	(204,674)
სხვა	(235,479)	(294,853)	(64,427)	(153,807)
სულ	(1,936,070)	(2,164,063)	(1,098,262)	(1,231,030)

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(1,761,536)	(1,406,799)	(882,861)	(751,569)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(902,344)	(566,789)	(478,256)	(367,514)
ცვეთა და ამორტიზაცია	(545,674)	(433,411)	(210,029)	(137,053)
ვენახის მოვლის ხარჯები	(544,739)	(625,636)	(544,739)	(625,636)
მარაგების გაუფასურება	(446,232)	(480,272)	(391,585)	(393,794)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(308,913)	(192,383)	(312,344)	(192,383)
ტრანსპორტირების ხარჯი	(120,422)	(109,948)	(110,803)	(95,833)
რემონტის ხარჯები	(106,593)	(112,715)	(48,890)	(64,319)
პროფესიული სერვისები	(101,298)	(124,549)	(86,716)	(124,549)
დაზღვევა	(71,369)	(50,914)	(59,212)	(39,373)
ქველმოქმედება	(60,454)	(154,244)	(60,454)	(154,244)
მივლინების ხარჯები	(42,844)	(51,960)	(42,844)	(51,960)
საბანკო ხარჯი	(36,798)	(40,665)	(34,983)	(40,665)
საბანკო ხარჯი	(36,798)	(40,665)	(34,983)	(40,665)
სხვა	(914,798)	(977,248)	(402,977)	(365,462)
სულ	(5,964,014)	(5,327,533)	(3,666,693)	(3,404,354)

10. წმინდა სხვა შემოსავალი/(ხარჯი)

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
ზარალი დეველოპერული მარაგების გასვლიდან	(3,139,448)	-	-	-
გრანტის გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია	597,955	350,000	597,955	350,000
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	615,052	297,075	394,189	221,994
სულ	(1,926,441)	647,075	992,144	571,994

ჯგუფმა 100%-იან წილის მფლობელს ანაზღაურების სანაცვლოდ საკუთრებაში გადასცვა მარაგებში წარდგენილი მიწა ჯამური საბალანსო ღირებულებით 9,808,000 ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად ნასყიდობის ფასი უნდა დაიფაროს 7 წლის განმავლობაში ყოველკვარტულად. მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას და მარაგის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდა როგორც, ზარალი დეველოპერული საქმიანობისთვის განკუთვნილი მარაგის გასვლიდან. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებულია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

11. მოგების გადასახადის ხარჯი

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
გადასახადი გამოცხადებულ დივიდენდზე	(94,988)	(129,126)	(94,988)	(129,126)
სულ	(94,988)	(129,126)	(94,988)	(129,126)

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი/კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ჯგუფი							სულ
	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის ინვენტარი	დანადგარები	მშენებარე აქტივები	ავტოტრანსპ ორტი	საიჯარო აქტივის რემონტი	
31.12.2020	43,355,870	49,424,166	4,868,850	41,629,560	19,158,163	15,703,984	2,285,190	176,425,783
შემოსვლა	1,014,870	1,984,933	1,139,066	8,189,756	15,731,855	410,184	-	28,470,664
გასვლა	-	-	(123,604)	(256,755)	-	(258,666)	-	(639,025)
სესხის დანახარჯები	-	-	-	-	3,402,102	-	-	3,402,102
გადასვლა მარაგებში	613,236	-	-	-	-	-	-	613,236
გადმოსვლა	-	-	-	-	-	-	-	-
ბიოლოგიურიდან	-	-	-	-	8,071,864	-	-	8,071,864
გადატანა	-	8,369,431	-	744,369	(9,113,800)	-	-	-
31.12.2021	44,983,976	59,778,530	5,884,312	50,306,930	37,250,184	15,855,502	2,285,190	216,344,624
შემოსვლა	920,748	488,980	41,522	1,101,718	965,636	426,630	63,430	4,008,664
სესხის დანახარჯები	-	-	-	-	830,621	-	-	830,621
გადატანა	-	7,726,901	-	-	(7,726,901)	-	-	-
30.06.2022	45,904,724	67,994,411	5,925,834	51,408,648	31,319,540	16,282,132	2,348,620	221,183,909
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2020	-	(10,277,844)	(2,153,128)	(10,631,055)	-	(2,316,659)	(2,112,164)	(27,490,850)
ცვეთა	-	(1,015,723)	(635,329)	(2,557,212)	-	(1,175,420)	(14,400)	(5,398,084)
გასვლა	-	-	104,319	249,200	-	44,418	-	397,937
31.12.2021	-	(11,293,567)	(2,684,138)	(12,939,067)	-	(3,447,661)	(2,126,564)	(32,490,997)
ცვეთა	-	(738,032)	(336,682)	(1,409,007)	-	(595,419)	(7,920)	(3,087,060)
30.06.2022	-	(12,031,599)	(3,020,820)	(14,348,074)	-	(4,043,080)	(2,134,484)	(35,578,057)
საბალანსო ღირებულება								
31.12.2021	44,983,976	48,484,963	3,200,174	37,367,863	37,250,184	12,407,841	158,626	183,853,627
30.06.2022	45,904,724	55,962,812	2,905,014	37,060,574	31,319,540	12,239,052	214,136	185,605,852

2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის/კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს აღებული სესხების უზრუნველყოფას.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ისტორიული ღირებულება	კომპანია							
	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის ინვენტარი	დანადგარე ბი	მშენებარე აქტივები	ავტოტრანს პორტი	საიჯარო აქტივის რემონტი	სულ
31.12.2020	23,860,286	22,046,600	2,049,766	37,064,586	2,328,500	6,988,753	2,285,190	96,623,681
შემოსვლა	285,902	199,126	682,219	7,154,937	10,799,188	55,274	-	19,176,646
გასვლა	-	-	(93,629)	(256,755)	-	(258,666)	-	(609,050)
შვილობილში შეტანა	(38,130)	-	-	-	-	-	-	(38,130)
გადატანა	-	6,012,520	-	744,369	(6,756,889)	-	-	-
31.12.2021	24,108,058	28,258,246	2,638,356	44,707,137	6,370,799	6,785,361	2,285,190	115,153,147
შემოსვლა	920,748	416,406	2,490	721,749	221,702	66,897	63,430	2,413,422
30.06.2022	25,028,806	28,674,652	2,640,846	45,428,886	6,592,501	6,852,258	2,348,620	117,566,569
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2020	-	(3,718,817)	(1,198,178)	(8,837,727)	-	(1,116,216)	(2,112,164)	(16,983,102)
ცვეთა	-	(419,469)	(253,028)	(2,080,083)	-	(458,757)	(14,400)	(3,225,737)
გასვლა	-	-	93,629	249,200	-	44,416	-	387,245
31.12.2021	-	(4,138,286)	(1,357,577)	(10,668,610)	-	(1,530,557)	(2,126,564)	(19,821,594)
ცვეთა	-	(230,708)	(139,165)	(1,144,046)	-	(252,316)	(7,920)	(1,774,155)
30.06.2022	-	(4,368,994)	(1,496,742)	(11,812,656)	-	(1,782,873)	(2,134,484)	(21,595,749)
საბალანსო ღირებულება								
31.12.2021	24,108,058	24,119,960	1,280,779	34,038,527	6,370,799	5,254,804	158,626	95,331,553
30.06.2022	25,028,806	24,305,658	1,144,104	33,616,230	6,592,501	5,069,385	214,136	95,970,820

ხელმძღვანელობამ განიხილა სეგმენტების ფინანსური შედეგები. იმსჯელა სეგმენტში შემავალი ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულისთვის არსებობდა თუ არა გაუფასურების ნიშნები, რისთვისაც გამოიყენა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროები. ხელმძღვანელობის პოზიცია თითოეულ სეგმენტთან მიმართებით წარმოდგენილია ქვემოთ:

ა) ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია - ხელმძღვანელობამ იმსჯელა რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ამონაგების შემცირება წარმოადგეს თუ არა გაუფასურების ნიშანს და მიაჩნია, რომ აღნიშნული ეფექტი არის მოკლევადიანი და არ იდენტიფიცირდება გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობის შეფასებით ჯგუფი/კომპანია შეძლებს დაუბრუნდეს ომამდელ ექსპორტის მოცულობას.

ბ) სასტუმრო, სარესტორნო და სხვა დაკავშირებული მომსახურება (HoReCa) - კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული გარემოებების გამო, შესადარისი პერიოდის ბოლოს არსებობდა ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულების (CGU) გაუფასურების ნიშნები. ხელმძღვანელობამ გამოყო გაუფასურების ნიშნის მატარებელი ექვსი ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეული, სადაინაგ მხოლოდ სამზე ჩაატარა გაუფასურების ტესტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა გაუფასურების ტესტირება წარმოადგენს ორ მშენებარე სასტუმროს და ერთ დასრულებულ სასტუმროს. აღნიშნული ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულებისთვის გაუფასურების ნიშნების არსებობდა 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობამ მიმოიხილა გაუფასურებული ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულების საქმიანობის შედეგები საანგარიშგებო პერიოდში. შიდა ანგარიშგების მიხედვით, ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულების ეკონომიკური ეფექტიანობა არსებითად შეესაბამება იმ დაშვებებს რის საფუძველზეც მომზადდა მომავალი ფულადი ნაკადები გაუფასურების ტესტირებისას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულებისთვის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არსებობს გაუფასურების აღდგენის ან დამატებითი გაუფასურების ნიშნები.

გ) სასოფლო სამეურნეო საქმიანობა - სეგმენტი მოიცავს ზრდის ფაზაში მყოფ გრძელვადიან ნარგავებს, მიწებს და სოფლის მეურნეობის ტექნიკას. სეგმენტის ფინანსურ შედეგებზე არსებით გავლენას ახდენს ზრდის ფაზაში მყოფი ვენახები და სხვა კულტურები, რომლებიც არ იძლევა სრულ მოსავალს. საანგარიშგებო პერიოდში არ იდენტიფიცირებულა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ნიშნები.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დ) დეველოპერული საქმიანობა - სეგმენტს არ გააჩნია არსებითი გრძელვადიანი აქტივები.

ე) სხვა სეგმენტი - მოიცავს კომპოტების, ჯემების, მურაბების, ტყემლების და სხვა მსგავსი საკვები პროდუქტების წარმოებას და წარმოადგენს ზარალიანს. ხელმძღვანელობის შეფასებით გაუფასურების ნიშნების არსებობდა 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა, აღნიშნულ სეგმენტში შემავალი ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულების გაუფასურების ტესტი.

ცხრილი გვიჩვენებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე მიკუთვნებულ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, რომელზეც ხელმძღვანელობამ არ ჩაატარა გაუფასურების ტესტი. რადგანაც ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი კომპანიები აღირიცხება წილობრივი მეთოდით (კაპიტალ მეთოდით), შვილობილი კომპანიის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებას გავლენა აქვს კომპანიის ინდივიდუალურ ანგარიშგებაზე. ცხრილში მოცემულია წილობრივი მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებზე გაუფასურების მაქსიმალური გავლენა, რომელიც წარმოადგენს მინიმალურს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

დასახელება	საქმიანობა	მდებარეობა	ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება CGU-ში		შესაძლო მაქსიმალური გავლენა ინვესტიციებზე
			კონსოლიდირებული	შვილობილი	შვილობილი
როიალ ასაკანა	მშენებარე შატო	ასკანა	12,423,843	9,229,049	9,229,049
ორბელიანი გარდენი	სასტუმრო	თბილისი	8,066,699	7,846,598	7,846,598
გურია პალასი	მშენებარე სასტუმრო	ოზურგეთი	3,249,801	2,946,217	2,435,698
ჩოხატაურის ქარხანა	ხილის გადამამუშავება	ჩოხატაური	1,455,150	1,455,150	1,455,150
ქედის ქარხანა	ხილის გადამამუშავება	ქედა	575,097	575,097	575,097
			25,770,590	22,052,111	21,541,592

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	საქმიანობა	მდებარეობა	ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება CGU-ში		შესაძლო მაქსიმალური გავლენა ინვესტიციებზე
			კონსოლიდირებული	შვილობილი	შვილობილი
როიალ ასაკანა	მშენებარე შატო	ასკანა	11,951,820	9,205,697	9,205,697
ორბელიანი გარდენი	სასტუმრო	თბილისი	7,820,100	7,599,999	7,599,999
გურია პალასი	მშენებარე სასტუმრო	ოზურგეთი	3,120,095	2,816,511	2,308,401
ჩოხატაურის ქარხანა	ხილის გადამამუშავება	ჩოხატაური	1,555,109	1,555,109	1,555,109
ქედის ქარხანა	ხილის გადამამუშავება	ქედა	661,111	661,111	661,111
			25,108,235	21,838,427	21,330,317

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

13. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ჯგუფი				კომპანია			
	ვენახები	მზარდი ვენახები	სხვა მზარდი ნარგავები	სულ	ვენახები	მზარდი ვენახები	სხვა მზარდი ნარგავები	სულ
31.12.2020	2,949,484	33,672,907	3,205,498	39,827,889	2,917,990	9,161,525	67,982	12,147,497
შემოსვლა	-	17,085,648	1,368,850	18,454,498	-	8,019,404	-	8,019,404
სესხის დანახარჯი	-	4,020,419	450,330	4,470,749	-	1,523,039	-	1,523,039
გადატანა ძირითადზე	-	(8,071,864)	-	(8,071,864)	-	-	-	-
გასვლა	(108,406)	(684,043)	-	(792,449)	(108,406)	(684,043)	-	(792,449)
31.12.2021	2,841,078	46,023,067	5,024,678	53,888,823	2,809,584	18,019,925	67,982	20,897,491
შემოსვლა	-	6,890,179	427,896	7,318,075	-	2,260,223	-	2,260,223
სესხის დანახარჯი	-	1,769,219	29,667	1,798,886	-	895,167	-	895,167
გასვლა	(39,190)	-	-	(39,190)	(39,190)	-	-	(39,190)
30.06.2022	2,801,888	54,682,465	5,482,241	62,966,594	2,770,394	21,175,315	67,982	24,013,691
დაგროვილი ცვეთა								
31.12.2020	(896,322)	-	-	(896,322)	(896,320)	-	-	(896,320)
ცვეთა	(43,968)	-	-	(43,968)	(43,968)	-	-	(43,968)
გასვლა	27,808	-	-	27,808	27,808	-	-	27,808
31.12.2021	(912,482)	-	-	(912,482)	(912,480)	-	-	(912,480)
გასვლა	13,331	-	-	13,331	13,331	-	-	13,331
30.06.2022	(899,151)	-	-	(899,151)	(899,149)	-	-	(899,149)
საბალანსო ღირებულება								
31.12.2021	1,928,596	46,023,067	5,024,678	52,976,341	1,897,104	18,019,925	67,982	19,985,011
30.06.2022	1,902,737	54,682,465	5,482,241	62,067,443	1,871,245	21,175,315	67,982	23,114,542

2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვენახები წარმოადგენდა ჯგუფის/კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ცხრილი გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობას.

აქტივების გამოყენების უფლება	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	1,621,693	1,621,800	1,621,693	1,621,800
შემოსვლა	-	179,486	-	179,486
ცვეთა	(32,614)	(179,593)	(32,614)	(179,593)
30 ივნისი 2022/ 31 დეკემბერი 2021	1,589,079	1,621,693	1,589,079	1,621,693

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულებების უფლების მოძრაობას.

საიჯარო ვალდებულებები	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	1,629,750	1,462,996	1,629,750	1,462,996
შემოსვლა	-	179,486	-	179,486
საპროცენტო ხარჯი	118,663	237,326	118,663	237,326
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(75,632)	(151,263)	(75,632)	(151,263)
კოვიდ 19-ის შედეგით	-	(98,795)	-	(98,795)
31 დეკემბერი	1,672,781	1,629,750	1,672,781	1,629,750

ჯგუფის/კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს მიწის იჯარებს. მიწის იჯარა მიღებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან და სხვა კონტრაგენტისგან, რომელზეც ჯგუფი/კომპანია გეგმავს ვენახების გაშენებას და იყენებს სარესტორნო მომსახურების მისაწოდებლად. მოცემული მიწების იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 12-41 წელს. მიწების იჯარის ვადის შეფასებისთვის ჯგუფი/კომპანია იყენებს იჯარის სახელშეკრულებო პერიოდს.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

დისკონტის განაკვეთად გამოყენებულია ზღვრული სასესხო განაკვეთი. ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია მსგავსი მახასიათებლების მქონე მიღებული სესხები მიმდინარე პერიოდში. ზღვრული სასესხო პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ცხრილი გვიჩვენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს საწყისი აღიარებისას და იჯარის ვადას და საიჯარო გადასახდელებს 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

იჯარა	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი	ვალუტა	წლიური საიჯარო გადასახდელი
სასოფლო სამეურნეო მიწა	1 წელი	22.5 წელი	23.5 წელი	12.53%	ლარი	216,459
სასოფლო სამეურნეო მიწა	40.5 წელი	0	40.5 წელი	16%	ლარი	12,000
არა სასოფლო სამეურნეო მიწა	11.5 წელი	0	11.5 წელი	15%	ლარი	21,600

15. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები

ცხრილი გვიჩვენებს კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების საბალანსო ღირებულების შეჯერებას.

	კომპანია				30.06.2022
	31.12.2021	ფული და ფულის ეკვივალენტების შეტანა	არაფულადი აქტივების შეტანა	ზარალის წილი	
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	1,985,777	-	-	(196,872)	1,788,905
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური	2,951,381	-	-	(138,970)	2,812,411
შპს ქედის ღვინის ქარხანა	676,805	6,300	-	(129,504)	553,601
შპს როიალ ასკანა	9,773,817	229,812	-	(163,682)	9,839,947
შპს გურია პალასი	2,308,401	166,713	-	(39,416)	2,435,698
შპს კატევე დეველოპმენტი	36,972,906	750,930	-	(3,501,591)	34,222,245
შპს კატევე ხობი	1,977,669	294,955	-	(35,927)	2,236,697
შპს კატევე ტურს	8,309,806	58,600	-	(203,854)	8,164,552
შპს შატო მანავი	4,321,408	478,273	-	(19,890)	4,779,791
შპს გურჯაანი აგრო	20,362,933	3,329,030	-	714,166	24,406,129
შპს სადისტრიბუციო კომპანია ძველი კახეთი	73,433	-	-	55,740	129,173
შპს ქართულ ღვინის ბანკი	9,958,055	879,006	-	17,799	10,854,860
შპს კატევე კაპიტალი	3,179,616	98,406	-	(43,517)	3,234,505
შპს ვილა ქინძმარაული	1,707,518	82,210	-	29,619	1,819,347
შპს კატევე ოილ	88,571	-	-	(776)	87,795
KTW Import and Distribution	-	300,000	-	(300,000)	-
სულ	104,648,096	6,674,235	-	(3,956,675)	107,365,656

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

15. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების საბალანსო ღირებულების შეჯერებას.

	კომპანია				31.12.2021
	31.12.2020	ფული და ფულის ეკვივალენტების შეტანა	არაფულადი აქტივების შეტანა	ზარალის წილი	
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	1,947,464	149,895	-	(111,582)	1,985,777
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო- ჩოხატაური	3,293,756	222,150	-	(564,525)	2,951,381
შპს ქედის ღვინის ქარხანა	1,001,782	60,255	-	(385,232)	676,805
შპს როიალ ასკანა	8,376,436	1,724,040	-	(326,659)	9,773,817
შპს გურია პალასი	1,694,799	716,750	-	(103,148)	2,308,401
შპს კატევე დეველოპმენტი	23,299,829	15,800,039	-	(2,126,962)	36,972,906
შპს კატევე ხობი	1,374,176	663,730	-	(60,237)	1,977,669
შპს კატევე ტურს	7,573,954	743,718	38,130	(45,996)	8,309,806
შპს შატო მანავი	3,261,003	1,100,404	-	(39,999)	4,321,408
შპს გურჯაანი აგრო	7,156,374	11,505,817	-	1,700,742	20,362,933
შპს სადისტრიბუციო კომპანია ძველი კახეთი	2,755	-	-	70,678	73,433
შპს ქართულ ღვინის ბანკი	8,063,456	1,973,019	-	(78,420)	9,958,055
შპს კატევე კაპიტალი	2,265,611	1,033,970	-	(119,965)	3,179,616
შპს ვილა ქინძმარაული	1,179,491	626,040	-	(98,013)	1,707,518
შპს კატევე ოილ	-	88,598	-	(27)	88,571
KTW Import and Distribution	-	569,604	-	(569,604)	-
სულ	70,490,886	36,978,029	38,130	(2,858,949)	104,648,096

ცხრილი გვიჩვენებს კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებს.

	კომპანია			
	30.06.2022		6 თვიანი პერიოდი 30.06.2022	
	მთლიანი აქტივები	მთლიანი ვალდებულებები	ამონაგები	სრული ზარალი
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	1,921,209	132,304	365,708	(196,872)
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური	3,522,608	710,197	696,667	(138,970)
შპს ქედის ღვინის ქარხანა	2,027,891	1,474,290	167,935	(129,504)
შპს როიალ ასკანა	10,498,184	658,237	4,791	(163,682)
შპს გურია პალასი	3,672,143	1,236,445	-	(39,416)
შპს კატევე დეველოპმენტი	38,738,613	4,516,368	306,785	(3,501,591)
შპს კატევე ხობი	5,132,417	2,895,720	-	(35,927)
შპს კატევე ტურს	9,150,991	986,439	1,138,856	(203,854)
შპს შატო მანავი	9,280,772	4,500,981	26,428	(19,890)
შპს გურჯაანი აგრო	60,046,722	35,640,593	-	714,166
შპს სადისტრიბუციო კომპანია ძველი კახეთი	4,896,071	4,766,898	2,104,228	55,740
შპს ქართულ ღვინის ბანკი	12,833,919	1,979,059	69,656	17,799
შპს კატევე კაპიტალი	4,092,699	858,194	7,373	(43,517)
შპს ვილა ქინძმარაული	1,854,102	34,755	1,000	29,619
შპს კატევე ოილ	106,281	18,486	-	(776)
KTW Import and Distribution	421,549	730,747	199,247	(300,000)
სულ	168,196,171	61,139,713	5,088,674	(3,956,675)

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

15. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციების ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებს.

	კომპანია			
	31.12.2021		6 თვიანი პერიოდი 30.06.2021	
	მთლიანი აქტივები	მთლიანი ვალდებულებები	ამონაგები	სრული ზარალი
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	2,115,178	129,401	259,166	(172,687)
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური	3,600,542	649,161	587,403	(129,428)
შპს ქედის ღვინის ქარხანა	2,064,606	1,387,801	48,650	(142,244)
შპს როიალ ასკანა	10,429,534	655,717	26,544	(128,852)
შპს გურია პალასი	3,619,798	1,311,397	-	(35,829)
შპს კატევე დეველოპმენტი	41,949,886	4,976,980	73,142	(854,871)
შპს კატევე ხობი	4,734,641	2,756,972	-	(20,501)
შპს კატევე ტურს	8,757,363	447,557	820,490	(123,556)
შპს შატო მანავი	8,580,441	4,259,033	-	(59,223)
შპს გურჯაანი აგრო	56,680,265	36,317,332	-	1,216,092
შპს სადისტრიბუციო კომპანია ძველი კახეთი	4,656,626	4,583,193	1,711,668	(230,306)
შპს ქართულ ღვინის ბანკი	11,139,200	1,181,145	-	(22,332)
შპს კატევე კაპიტალი	3,967,994	788,378	-	(26,552)
შპს ვილა ქინძმარაული	1,729,448	21,930	-	-
შპს კატევე ოილ	88,571	-	-	-
KTW Import and Distribution	523,356	832,554	-	-
სულ	164,637,449	60,298,551	3,527,063	(730,289)

16. მარაგები

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
მიწა და შენობები დეველოპერული საქმიანობისთვის	26,181,469	26,250,790	-	-
სულ გრძელვადიანი მარაგები	26,181,469	26,250,790	-	-
ღვინომასალები და სპირტმასალები	51,931,762	61,045,916	50,972,964	59,450,866
მიწა და შენობები დეველოპერული საქმიანობისთვის	-	9,808,000	-	-
მზა პროდუქცია	4,557,906	4,397,164	2,645,799	2,548,083
ნედლეული და მასალები	1,344,605	1,404,730	48,346	36,075
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,904,929	2,811,535	2,785,800	1,939,862
სულ მოკლევადიანი მარაგები	61,739,202	79,467,345	56,452,909	63,974,886
სულ	87,920,671	105,718,135	56,452,909	63,974,886

დეველოპერული საქმიანობისთვის შეძენილი მიწა და შენობები, რომელთაც სარეალიზაციო მდგომარეობაში მოსაყვანად სჭირდებათ ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი, წარდგება როგორც გრძელვადიანი მარაგები. მარაგები წარმოადგენდა ჯგუფის/კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	10,607,168	12,864,257	16,852,121	18,783,458
სხვა მოთხოვნები	6,639,782	-	-	-
საექვო ვალების რეზერვი	(3,609,329)	(3,300,416)	(3,264,478)	(2,952,134)
სულ ფინანსური მოთხოვნები	13,637,621	9,563,841	13,587,643	15,831,324
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	1,127,288	1,416,107	58,842	131,068
ბიოლოგიურ აქტივებზე გადახდილი ავანსები	232,024	1,357,518	216,553	1,301,356
სხვა ავანსები	768,999	985,319	274,693	509,122
წინასწარ გადახდილი გადასახადები	168,314	741,191	-	457,544
სულ მოთხოვნები	15,934,246	14,063,976	14,137,731	18,230,414

ჯგუფი/კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის/კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის/კომპანიის მომხმარებლებზე. ჯგუფი/კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც საქმიანობს. ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებას და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხს ჯგუფური გაუფასურების საფუძველზე.

	ჯგუფი					
	30.06.2022			31.12.2021		
	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი
მიმდინარე	1,796,164	1%	(19,982)	5,441,571	1%	(60,537)
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	2,168,117	6%	(120,602)	2,655,934	6%	(147,736)
31-90 დღის ვადაგადაცილება	1,684,569	11%	(187,408)	1,378,119	11%	(153,316)
91-180 დღის ვადაგადაცილება	2,008,489	22%	(446,889)	425,626	22%	(94,702)
181-365 დღის ვადაგადაცილება	207,891	45%	(92,510)	214,201	45%	(95,319)
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,741,938	100%	(2,741,938)	2,748,806	100%	(2,748,806)
სულ	10,607,168		(3,609,329)	12,864,257		(3,300,416)
გაუფასურების რეზერვი	(3,609,329)			(3,300,416)		
წმინდა მოთხოვნები	6,997,839			9,563,841		

	კომპანია					
	30.06.2022			31.12.2021		
	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი	მოთხოვნა	განაკვეთი	რეზერვი
დაკავშირებული მხარე	9,209,388		(281,709)	8,698,303		(278,278)
მიმდინარე	836,017	1%	(9,301)	4,684,894	1%	(52,119)
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,775,914	6%	(98,785)	2,218,399	6%	(123,398)
31-90 დღის ვადაგადაცილება	1,024,361	11%	(113,960)	732,512	11%	(81,492)
91-180 დღის ვადაგადაცილება	1,584,459	22%	(352,542)	15,790	22%	(3,513)
181-365 დღის ვადაგადაცილება	24,866	45%	(11,065)	36,444	45%	(16,218)
365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,397,116	100%	(2,397,116)	2,397,116	100%	(2,397,116)
სულ	16,852,121		(3,264,478)	18,783,458		(2,952,134)
გაუფასურების რეზერვი	(3,264,478)			(2,952,134)		
წმინდა მოთხოვნები	13,587,643			15,831,324		

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	(3,300,416)	(5,806,171)	(2,952,134)	(4,759,216)
გაუფასურების აღდგენა/ (ხარჯი)	(308,913)	2,442,156	(312,344)	1,743,483
ჩამოწერა	-	63,599	-	63,599
30 ივნისი 2022/ 31 დეკემბერი 2021	(3,609,329)	(3,300,416)	(3,264,478)	(2,952,134)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ფინანსურ ნაწილში წარდგენილი სხვა მოთხოვნები, წარმოადგენს მოთხოვნას დამფუძნებლის მიმართ, რომელიც წარმოიქმნა დეველოპერული საქმიანობისთვის განკუთვნილი მიწის რეალიზაციიდან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 10. ჯგუფი არ აღიარებს აღნიშნული მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან არ გააჩნია, მსგავსი მოთხოვნის გაუფასურების გამოცდილება.

კომპანია აღიარებს დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ შემთხვევაში, როდესაც შვილობილს გააჩნია წმინდა უარყოფითი აქტივები, რადგან კომპანიის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ინვესტიციები აღრიცხულია კაპიტალ მეთოდით. კომპანია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აღიარებს წმინდა უარყოფით აქტივებში კომპანიის წილსა და მოთხოვნის თანხას შორის უმცირესით.

18. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
ფული ბანკში	430,260	5,526,426	137,252	4,879,745
ფული საღარიბოში	14,874	10,798	9,333	5,310
შეზღუდული ფული	37,326	5,175	37,326	5,175
სულ	482,460	5,542,399	183,911	4,890,230

19. სესხები და ობლიგაციები

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილი როგორც მოკლევადიანი				
ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები	129,448,796	125,547,683	91,365,663	85,956,518
ფიქსირებული პროცენტის მქონე საბანკო სესხები	5,661,277	6,767,998	4,929,688	6,003,099
აკრედიტივი	-	492,242	-	492,242
	135,110,073	132,807,923	96,295,351	92,451,859
სესხების მოკლევადიანი ნაწილი			-	-
ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები	26,426,204	37,763,938	23,391,015	33,987,687
ფიქსირებული პროცენტის მქონე საბანკო სესხები	5,199,549	5,216,324	4,851,388	4,881,388
ობლიგაცია	29,156,728	30,836,109	29,156,728	30,836,109
აკრედიტივი	1,568,205	1,633,016	1,616,597	1,633,016
	62,350,686	75,449,387	59,015,728	71,338,200
სულ მოკლევადიანი სესხები	135,110,073	132,807,923	96,295,351	92,451,859
სულ სესხები	197,460,759	208,257,310	155,311,079	163,790,059

ჯგუფმა/კომპანიას გამოუშვებული აქვს დოლარში ნომინირებული არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომელიც განათავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%. ჯგუფი/კომპანია ვალდებულია ობლიგაციებზე პროცენტი გადაიხადოს ყოველკვარტლურად. ობლიგაციების მთლიანი ძირი თანხის გადახდა მოხდება ვადის ამოწურვისას 2022 წლის დეკემბერში.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

19. სესხები და ობლიგაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების რეკონსილაციას.

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	208,257,310	198,285,087	163,790,059	138,089,217
სესხების აღება	21,277,628	82,872,317	16,184,193	82,200,479
ობლიგაციების განთავსება	-	10,815,803	-	10,815,803
გადმოსვლა სავაჭრო ვალდებულებებიდან	153,043	2,177,626	153,043	2,177,626
საპროცენტო ხარჯი	9,184,283	19,153,244	7,182,791	14,531,506
გადახდილი პროცენტი	(8,772,999)	(18,095,731)	(6,876,660)	(14,311,564)
სესხების დაფარვა	(24,101,097)	(77,738,483)	(18,656,009)	(62,128,179)
საკურსო სხვაობის გავლენა	(8,537,409)	(9,212,553)	(6,466,338)	(7,584,829)
30 ივნისი 2022/ 31 დეკემბერი 2021	197,460,759	208,257,310	155,311,079	163,790,059

ჯგუფის/კომპანიის მიერ მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს ძირითადი ფინანსური შეზღუდვაა: სესხის მომსახურების კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები 1.3. ჯგუფი/კომპანია 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. შესაბამისად სესხები წარდგენილია როგორც მოკლევადიანი. სესხის მომსახურების კოეფიციენტი იანგარიშება ყოველკვარტალურად.

2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის/კომპანიის არსებული და მომავალში შეძენილი მოძრავი და უძრავი ქონებით, მათ შორის ძირითადი საშუალებებით, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. ჯგუფს/კომპანიას არ შეუძლია აღნიშნული მიწის და შენობების გაყიდვა ან გამოყენება იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე.

20. გადავადებული შემოსავალი

	ჯგუფი		კომპანია	
	2022	2021	2022	2021
1 იანვარი	3,772,037	2,668,067	3,691,797	2,587,827
შეზღუდული შემოსავალი მიღებული გრანტიდან	-	3,490,768	-	2,893,842
გრანტის გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია	(597,955)	(1,789,872)	(597,955)	(1,789,872)
გრანტებით აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება	-	(596,926)	-	-
30 ივნისი 2022/ 31 დეკემბერი 2021	3,174,082	3,772,037	3,093,842	3,691,797

2021 წელს მიღებული სახელმწიფო გრანტების არსებითი ნაწილი უკავშირდება ყურძნის შესყიდვას და ვენახების გაშენებას და წარმოიქმნა ყურძნის შესყიდვის და ვენახების გაშენების მიზნით აღებული სუბსიდირებულ სესხებიდან.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ჯგუფი		კომპანია	
	30.06.2022	31.12.2021	30.06.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	14,865,916	13,572,479	12,675,189	12,474,387
გადასახდელი ხელფასები	536,074	96,032	249,872	29,351
სხვა ვალდებულება	1,616,073	1,615,000	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,018,063	15,283,511	12,925,061	12,503,738
საგადასახადო ვალდებულებები	1,901,158	506,833	1,512,104	-
სახელშეკრულებო ვალდებულება	-	405,282	-	390,187
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,919,221	16,195,626	14,437,165	12,893,925

სხვა ვალდებულებები მოიცავს საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ჯარიმებს. ჯგუფს სრულად აქვს აღიარებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმა. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოიქმნება მომხმარებლებიდან მიღებული ავანსებიდან. ამონაგები სახელშეკრულებო ვალდებულებიდან სრულად აღიარდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

22. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

	ჯგუფი და კომპანია			
	30.06.2022		31.12.2021	
	აქტივი	ვალდებულება	აქტივი	ვალდებულება
ელექტრონული ფულის ფინანსური ინსტრუმენტი	-	-	5,600	-
უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტი	-	-	170,201	228,849
სულ	-	-	175,801	228,849

უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები წარმოადგენს კონტრაქტებს, რომლის მიხედვით ჯგუფი/კომპანია ყიდის აშშ დოლარს და ყიდულობს ლარს წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით. დამატებითი ინფორმაცია რეალური ღირებულებასთან დაკავშირებით გაშიფრულია შენიშვნა 4-ში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს წმინდა მოგება/(ზარალს) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან.

	ჯგუფი და კომპანია	
	2022	2021
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტიდან	969,766	5,794,861
წმინდა მოგება/(ზარალი) ფასთაშორის სხვაობის კონტრაქტიდან (CFD)	-	174,383
სულ	969,766	5,969,244

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	უერთიერთობა	კომპანია	
		30.06.2022	31.12.2021
ნაშთები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შვილობილი	9,209,388	8,698,303
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	შვილობილი	(281,709)	(278,278)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	შვილობილი	8,927,679	8,420,025
გაცემული სესხი	შვილობილი	539,792	527,241
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შვილობილი	243,412	259,629
ოპერაციები			
ამონაგები	შვილობილი	820,342	503,404
შესყიდვები	შვილობილი	98,062	356,720

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის განმარტებული.

ჯგუფს დამფუძნებლის მიმართ აქვს მოთხოვნა 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რომელიც წარმოიქმნა დეველოპერული საქმიანობისთვის განკუთვნილი მიწის რეალიზაციიდან, საიდანაც ზჯგუფმა მიიღო ზარალი 3,139,448 ლარი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 10.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2022 და 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული შუალედური პერიოდისთვის შეადგენდა შესაბამისად 150,000 და 218,000 ლარს.

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

24. არამაკონტროლებელი წილი

2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი ფლობდა შვილობილ კომპანია - KTW Import and Distribution-ში 10%-იან წილს. ცხრილი გვიჩვენებს KTW Import and Distribution ფინანსურ ინფორმაციას აქტივების და ვალდებულებების შესახებ.

	30.06.2022	31.12.2021
მარაგები	242,789	316,802
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	152,367	128,286
ფული და ფულის ეკვივალენტები	26,393	78,268
სულ აქტივები	421,549	523,356
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	190,955	330,728
სესხები	539,792	501,826
სულ ვალდებულებები	730,747	832,554

ცხრილი გვიჩვენებს KTW Import and Distribution შემაჯამებელ შუალედურ ფინანსური ინფორმაციას.

	2022	2021
ამონაგები	199,247	-
თვითღირებულება	(42,967)	-
საერთო მოგება	156,280	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(456,280)	(26,552)
წმინდა მოგება/(ზარალი)	(300,000)	(26,552)
წმინდა ზარალი მიკუთვნებული არამაკონტროლებელ წილს	(30,000)	-

25. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები

1) ჯგუფის/კომპანიის ვალდებულება ქ. დუშეთში განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტთან მიმართებით:

- ჯგუფს/კომპანიას 2021 წლის 19 აგვისტომდე უნდა აეშენებინა და ექსპლუატაციაში მიეღო ტურისტული კომპლექსი და ამავე მიზნით განეხორციელებინა არანაკლებ 1,000,000 ლარის ინვესტიცია; ჯგუფმა/კომპანიამ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტების გაჭიანურებიდან გამომდინარე ვერ შეძლო აღნიშნული ვალდებულების დროულად შესრულება. ჯგუფმა/კომპანიამ წერილობით მიმართა ქონების მართვის სააგენტოს აღნიშნული ვადის 2023 წლის 1 აგვისტომდე გადაწევის თხოვნით. აღნიშნული პირობის დარღვევა ითვალისწინებს ჯარიმას ყოველდღიურ ვადაგადაცილებაზე. ჯარიმის მაქსიმალური თანხა 2022 წლის 30 ივნისამდე შეადგენს 470,000 ლარს. ჯგუფს/კომპანიას მიაჩნია, რომ არ მოუწევს აღნიშნული ჯარიმის გადახდა და ქონების მართვის სააგენტო გაათავისუფლებს ამ ჯარიმისგან, რადგანაც საინვესტიციო პროექტის ვადების დარღვევა განაპირობა ჯგუფიდან/კომპანიიდან დამოუკიდებელმა გარემოებამ, რამაც შეზღუდა ჯგუფის/კომპანიის წვდომა სამშენებლო ტერიტორიაზე. შესაბამისად, აღნიშნულ თანხაზე ანარიცხი არ არის აღიარებული.
- შენობის ექსპლუატაციაში მიღებიდან 30 დღის ვადაში ჯგუფმა/კომპანამ სახელმწიფოს უსასყიდლოდ უნდა გადასცეს 30 კვ.მ.;
- კომპლექსის ფუნქციონირების დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში ჯგუფმა/კომპანამ უნდა დაასაქმოს არანაკლებ 30 მოქალაქე;
- ფუნქციონირების დაწყებიდან 30 დღის ვადაში ჯგუფმა/კომპანამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობისთვის სავაჭრო ფართების გადაცემა 5 წლის ვადით, მათ შორის 1 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ.

2) დაბა ქედაში ხილის გადამამუშავებელ ქარხანასთან მიმართებით ჯგუფი ვალდებულია:

- 2026 წლის 31 დეკემბრამდე შეინარჩუნოს პროფილი და დაასაქმოს საქართველოს 20 მოქალაქე;
- 2026 წლის 31 დეკემბრამდე ყოვლწლიურად გადაამუშავოს არანაკლებ 220 ტონა ნედლეული;
- არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე ამოქმედოს სასაწყობო მეურნეობა. ამავე მიზნით განახორციელოს არანაკლებ 150,000 ლარის ინვესტიცია და 2026 წლის 31 დეკემბრამდე დაასაქმოს არანაკლებ საქართველოს 5 მოქალაქე;

25. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები (გაგრძელება)

- 3) გურიაში მშენებარე სასტუმროსთან დაკავშირებით ჯგუფი ვალდებულია დაიწყოს საქმიანობა 2022 წლის 31 მაისამდე და შეინარჩუნოს პროფილი მინიმუმ 2 წლით.

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები. 2022 წელს ჯგუფის წინააღმდეგ დაიწყო დავა მომწოდებელმა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა არ აღიარა მომწოდებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვასთან მიმართებით. აღნიშნული შესყიდვის ჯამური მოცულობა შეადგენს 658,000 ლარს. მომჩივანის მიერ მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს 783,000 საიდანაც 658,000 არის ძირი, ხოლო 125,000 მიუღებელი შემოსავალი. ჯგუფს მიაჩნია, რომ მიაღწევს შეთანხმებას მომწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე. ხელმძღვანელობის შეფასებით დავა არის საწყის ეტაპზე, აქედან გამომდინარე დავის შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფს/კომპანიას გასაჩივრებული აქვს საგადასახადო შემოწმების შედეგად და საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობით დაკისრებული ვალდებულებები. ხელმძღვანელობის შეფასებით სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილება გაურკვეველია. ჯგუფი/კომპანია გასაჩივრებულ თანხებს განიხილავს პირობით აქტივად და არ განმარტავს დამატებით ინფორმაციას რათა თავიდან იქნეს აცილებული მცდარი მინიშვნები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფი ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი დივიდენდით განპირობებული მოსალოდნელი მოგების გადასახადი შეადგენდა შესაბამისად 18,476,000 და 18,877,000 ლარს.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- ჯგუფმა/კომპანიამ გასცა დივიდენდები ჯამური ღირებულებით 175,000. ლარი.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

27.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

27.2 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები არიან შვილობილი საწარმოები. კონტროლში იგულისხმება კომპანიის მიერ ამ თუ იმ საწარმოში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ კომპანიამ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღრიცხულია კაპიტალ მეთოდით (წილობრივი მეთოდი). წილობრივი მეთოდის თანახმად, შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში კომპანიის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. კომპანიის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება კომპანიის მოგებაში, ან ზარალში. შვილობილი საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება შვილობილ საწარმოს კაპიტალში შეტანილი ფულადი და არაფულადი აქტივების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის წილი ნულამდე დაეცემა (შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები გაუტოლდება ნულს ან გახდება უარყოფითი), დამატებით წარმოქმნილი ზარალი და ვალდებულება აღიარდება

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენიც არის კომპანიის მიერ შვილობილი საწარმოს სახელით აღებული იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობები, ან მისი სახელით გადახდილი თანხები. თუ შვილობილი საწარმო შემდგომში აღიარებს მოგებას, კომპანია განაახლებს თავისი წილის აღიარებას ამ მოგებაში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი წილი მოგებაში გაუტოლდება ზარალში მის წილს, რომელიც არ ჰქონდა აღიარებული.

მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ შვილობილ საწარმოში ფლობილი ნეტო ინვესტიცია გაუფასურებულია და გაუფასურების ზარალი წარმოშობილია, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურებისა, რაც გამოიწვია ნეტო ინვესტიციის საწყისი აღიარების შემდეგ მომხდარმა ერთმა ან რამდენიმე მოვლენამ („ზარალის გამოწვევი მოვლენა“), ამ მოვლენამ (თუ მოვლენებმა) გავლენა იქონია ნეტო ინვესტიციიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე და შესაძლებელია გაუფასურების ზარალის საიმედოდ შეფასება.

27.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი/კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი/კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული/ინდივიდუალური მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 30 ივნისისთვის	2.9289	3.0821
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.504

27.4 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი/კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი/კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი/კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი/კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის/კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და მომხმარებლებისათვის სასტუმროს, რესტორნის და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმლის რეალიზაციიდან

ჯგუფი/კომპანია ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი/კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს/კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

როდესაც ჯგუფი/კომპანია სხვა მხარეს (მაგალითად, დილერს ან დისტრიბუტორს) აწვდის პროდუქციას საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია აფასებს, აღნიშნულმა სხვა მხარემ მოიპოვა თუ არა პროდუქციაზე კონტროლი დროის მოცემულ მომენტში. სხვა მხარისთვის მიწოდებულ პროდუქციას შეიძლება კონსიგნაციის შეთანხმებით ფლობდეს ეს მხარე, თუ მას არ მოუპოვებია კონტროლი მოცემულ პროდუქციაზე. შესაბამისად, ჯგუფი/კომპანია სხვა მხარისთვის პროდუქციის მიწოდებისას არ აღიარებს ამონაგებს, თუ აღნიშნული მხარე პროდუქტს კონსიგნაციის შეთანხმების ფარგლებში ფლობს.

ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც საცალოდ, ასევე საბითუმოდ. საბითუმოდ რეალიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელს აქვს შესყიდული პროდუქციის უკან დაბრუნების უფლება.

მომხმარებლისაგან მისაღები მოსალოდნელი ანაზღაურება არის ცვალებადი, რადგან ხელშეკრულების მიხედვით მომხმარებლებს აქვთ პროდუქციის უკან დაბრუნების უფლება. ჯგუფი/კომპანია იყენებს მოსალოდნელი ოდენობის მეთოდს, რომ შეაფასოს პროდუქცია, რომელიც შეიძლება დაბრუნდეს, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს ცვალებად მოსალოდნელ ანაზღაურებას, რომელსაც ჯგუფი/კომპანია მოელის. ჯგუფი/კომპანია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად იყენებს ცვალებადი ანაზღაურების შეფასების შეზღუდვას, რომ განსაზღვროს ცვალებადი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია გარიგების ფასში. ჯგუფი/კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აღიარებს ვალებულებას მარაგის დაბრუნებაზე და აქტივს მომხმარებლისგან პროდუქციის დაბრუნების უფლებაზე.

ამონაგები სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

ჯგუფი/კომპანია მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვალებადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიბმულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო ამონაგებს. ბრუნვაზე მიბმული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას ჯგუფი/კომპანია ამონაგებს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა/კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

27.5 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

27.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

27.7 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

27.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი/კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-50
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5
დანადგარები	5-25
ავტოტრანსპორტი	7-10
სხვა	7-10

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული/ინდივიდუალური ანგარიშგებაში.

27.9 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი/კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი/კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი/კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი/კომპანია საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის/კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი/კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზდება 25 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი/კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი/კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით;
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე;
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება;

ჯგუფი/კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი/კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი/კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი/კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტის დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა/კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

27.10 ბიოლოგიური აქტივები

მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი/კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც გაიწია მრავალწლიანი ნარგავების იმ მდგომარეობაში და კონდიციაში მოსაყვანად, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფი/კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი არის იმ კონდიციაში რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესასრულებლად. მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 15-50 წელს.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

27.11 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

27.12 სესხით სარგებლობის დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტი; და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა ჯგუფს/კომპანიას რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში). კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. ჯგუფი/კომპანია განსაზღვრავს ჰიპოთეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოკვეთით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასამშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. 2022 და 2021 წელს გამოყენებულია ლარის სესხებისთვის 12%-14.5%, დოლარის სესხებისთვის 8%-8.5%.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

ჯგუფი/კომპანია არ ახორციელებს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას ისეთ მარაგებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით იწარმოება, ან რაიმე სხვა გზით განმეორებით იქმნება (ბრენდი). ჯგუფის დეველოპერული პროექტები არის ინდივიდუალური დიზაინის, არა-სტანდარტიზებული და არ ხდება მათი დიდი რაოდენობით წარმოება, შესაბამისად ჯგუფი დეველოპერულ პროექტებზე ახორციელებს სესხის პროცენტის კაპიტალიზაციას, მას შემდეგ რაც დაკმაყოფილდება კაპიტალიზაციის დაწყების კრიტერიუმები.

27.13 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი/კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი/კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებული/ინდივიდუალური მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

27.14 მარაგები

მარაგები გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტისა

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილების მიმართ უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი/კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

27.15 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს/კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

27.16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

27.17 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის/კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის/კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი/კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი/კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჯგუფი/კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი/კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი/კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი/კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: ბანკებისგან მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

აღნიშნული კატეგორია მოიცავს კონტრაქტებს ფასთა შორის სხვაობაზე და უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტს, რომელიც წარმოადგენს წარმოებული ინსტრუმენტის სახეობას და კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფი/კომპანია ფლობს კონტრაქტებს ფასთა შორის სხვაობაზე სპეკულაციური მიზნით, ხოლო უცხოური ვალუტის ფორვარდულ კონტრაქტებს ფლობს ჰეჯირების მიზნით. ჯგუფი/კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტებისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი/კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი/კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

27.18 სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ:

- ა) ჯგუფი/კომპანია შესაძლებელს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და
- ბ) გრანტი ექნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ ჯგუფს არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

27.18.1 აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის რეალური ღირებულებით აღიარებული არაფულადი გრანტები ამცირებს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას. კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გრანტი აღიარდება ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის ხარჯის შემცირების სახით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, იმისათვის, რომ გამოჩნდეს აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების საერთო თანხა, ძირითადი საშუალების შეძენა და გრანტის მიღება აღიარდება ინდივიდუალურად.

27.18.2 შემოსავალთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

შემოსავალთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება გადავადებულ შემოსავლად და კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარსდგება სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც ჯგუფი/კომპანია ხარჯად აღიარებს იმ დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტით.

27.18.3 საბაზროზე დაბალი პროცენტით მიღებული სესხები

საბაზროზე დაბალი პროცენტით სესხებიდან მიღებული სარგებელი განიხილება, როგორც სახელმწიფო გრანტი და გაიანგარიშება, როგორც ტრანზაქციის დანახარჯებით შემცირებულ სესხის რეალურ ღირებულებასა და მიღებულ თანხას შორის სხვაობა. სარგებელი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას აქვს საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

გრანტთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემდეგ, საბაზროზე დაბალი პროცენტით სესხებიდან მიღებული სარგებელი კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება გადავადებულ შემოსავლად და კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარსდგება სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც ჯგუფი/კომპანია ხარჯად აღიარებს იმ დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტით.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

27.19 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის/კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

27.20 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებულ/ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.



ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისს დასრულებული

პერიოდისთვის

სარჩევი:

2022 წლის შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა, სტრატეგია და მიზანი.....	50
2. ჯგუფის შედეგების მიმოხილვა.....	52
3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები	53
4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა	57
5. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა.....	57

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც გამოხატავს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას. სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

1. ჯგუფის საკმინაობის აღწერა, სტრატეგია და მიზანი

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ დაფუძნებულია 2001 წლის აგვისტოში, რომლის საკმინაობის სფეროს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია ადგილობრივ და სხვადასხვა საექსპორტო ბაზრებზე. ჯგუფი ყოველწლიურად ვითარდება და აღწევს წარმატებებს, იგი ლიდერობს კონკურენტებს შორის, რაც აიხსნება წარმოებული პროდუქციის სხვადასხვა საექსპორტო, თუ ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის შედეგებით. ჯგუფის მიერ წარმოებული პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხით და მომხმარებლისთვის მისაღები ფასით.

ჯგუფი 2001 წლიდან საკუთარი სავაჭრო ნიშნით აწარმოებს და რეალიზებას უწევს ისეთ პრემიალური კლასისა და სუფრის ღვინოებს, როგორიცაა „ჩხაიძის ჩხავერი“, გურამიშვილის მარნის სხვადასხვა ღვინოები, როგორც პრემიალური, ასევე აის ვაინის სახით, მათ შორის იტალიელი მეღვინის ვიტორიო ფიორეს მიერ ავტორიზებული ღვინოები: მუკუზანი, საფერავი, ტვიში, წინანდალი და სხვა. ამასთანავე KTW-მ საკუთარი სავაჭრო ნიშნით აწარმოა და საექსპორტო ბაზრებზე მოიპოვა ლიდერობა ბრენდით „ძველი კახეთი“, „თბილისის საგანძური“, „ივერია“, „თბილისის ლეგენდა“ და სხვა. ჯგუფისთვის ძირითად საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენს რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, დიდი ბრიტანეთი, ბელარუსია, , ჩინეთი, და სხვა.

2012 წლის სექტემბრის თვეში, ისტორიულ ქალაქ მცხეთაში, KTW-მ დაიწყო ღვინის სადგენსტაციო სალონისა და რესტორნის მშენებლობა. აღნიშნული მშენებლობა დასრულდა და საზეიმოდ გაიხსნა 2013 წლის ივლისის თვეში, რომელსაც ეწოდა „ქართული ღვინის პალატა“. ამ ადგილს დღეს უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმარი სტუმრობს.

2013 წლის მარტის თვეში, საგარეჯოს რ-ნ სოფ. პატარძელში KTW-მ დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების და იტალიური ტექნოლოგიით აღჭურვილი თანამედროვე ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ გახსნა ამავე წლის სექტემბრის თვეში, რომელიც სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის მქონე სერტიფიკატით ISO-22000. ქარხანა მოიცავს 2000 ტონა მოცულობის ღვინომასალის საცავს და საჩამომსხმელო საამქროს, სადაც განთავსებულია ორი სხვადასხვა წარმადობის იტალიური ჩამოსასხმელი ხაზები.

2014 წელს KTW-მ აუქციონის წესით შეიძინა დაბა ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შპს „ქედის ღვინის ქარხანა“. ამ ადგილზე აშენდა საერთაშორისო სტანდარტების და ახალი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი თანამედროვე ღვინის ქარხანა, რომელიც სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის მქონე სერტიფიკატით ISO-22000. მოცემული ქარხანა არის ზრდის ეტაპზე და სამომავლოდ უნდა მოხდეს დასავლეთ საქართველოში მოყვანილი სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან მიღებული ღვინოების წარმოება.

2014-2015 წლებში, KTW-მ გურჯაანის რ-ნ სოფ. ველისციხეში ააშენა 5300 ტონა ღვინომასალის მოცულობის, საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პირველადი წარმოების ღვინის ქარხანა, რომელიც სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის მქონე სერტიფიკატით ISO-22000, ხოლო 2016 წელს ამავე ქარხნის ტერიტორიაზე ჯგუფმა ააშენა საქართველოში ერთ-ერთი დიდი საკონიაკე სპირტის ქარხანა, რომელიც განსაზღვრულია 9200 ტონა ღვინომასალის გადამამუშავებაზე, ხოლო სპირტის წარმოება - 120 ტონა დღეღამეში.

2015 წელს KTW-მ დააფუძნა შპს „კატევე ხობი“ და შეიძინა 200 ჰა ფართის მიწის ნაკვეთი ხობის რ-ნ სოფ. ნოჯიხეში. ჯგუფმა დაამუშავა აღნიშნულ მიწის ნაკვეთი და გააშენა ჯიფონის, რომანას, ნოკიონეს, ფერილე დე ლაუტარდის, მორტარელას, ბიგლინის, სეგორბეს, გუნსლემბერტის და სხვა ჯიშის თხილის პლანტაცია.

2014 წელს KTW-მ დააფუძნა შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური“ და შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა“. ჯგუფმა ჩოხატაურსა და დაბა ქედაში ააშენა საერთაშორისო სტანდარტების და ახალი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი თანამედროვე ხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტის მქონე სერტიფიკატით ISO-22000. ამ ქარხნებში ადგილობრივი მოსახლეობიდან ხდება ნედლეულის მიღება და შემდეგ წარმოება კომპოტების, ჯემების, მურაბების, თაფლის, ტყემლის და სხვა. „ნენა“-ს ბრენდით წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

2015 წელს KTW-მ პირობითი აუქციონის წესით, 20 წლიანი იჯარით სარგებლობის პირობით მიიღო მცხეთის რ-ნ სოფ. საგურამოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „გურამიშვილების მარანი“. აღნიშნულ მარანს

1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა, სტრატეგია და მიზანი (გაგრძელება)

ჩაუტარდა რეაბილიტაცია-რესტავრაცია, დაუბრუნდა პირვანდელი სახე, მიმდებარე ტერიტორიაზე დამატებით აშენდა ღვინის თანამედროვე მცირე ზომის ქარხანა, ღვინის საცავი, სადეგუსტაციო დარბაზი და მოეწყო ეზო. ამასთანავე ჯგუფს გრძელვადიანი იჯარით გადმოეცა ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის მიმდებარედ 8 ჰა მიწის ფართობი, სადაც დღეს შავკაპიტოს, ბუზას, დანახარულის და ვაზის სხვადასხვა ჯიშებია გაშენებული. დღეს გურამიშვილების ისტორიული მარანი არის სტუმრებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი. დღეს გურამიშვილების მარანში მიმდინარეობს ქართლის ჯიშის ყურძნისაგან მიღებული ღვინის წარმოება და დეგუსტაცია.

2017 წელს საფუძველი ჩაეყარა გურჯაანის რ-ნ სოფ. ახაშენში სასტუმროს მშენებლობას სახელწოდებით “AKHASHENI WINE RESORT”. ჯგუფმა 2 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთზე ააშენა და 2018 წლის მარტის თვეში საზეიმოდ გახსნა ორსართულიანი, 41 ნომრიანი, ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელსაც ამშვენებს მის გარშემო საფერავის ყურძნის ჯიშის ვენახები და ხედი კავკასიონის მყინვარზე. როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლების რაოდენობა დღითი დღე იზრდება. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯგუფმა დამატებით 2019 წელს დაიწყო ამავე ტერიტორიაზე გამაჯანსაღებელი სპა ცენტრის მშენებლობა, რომელიც მეტ კომფორტს შესთავაზებს დამსვენებლებს.

2018 წელს KTW-მ შეიძინა საგარეჯოს რ-ნ სოფ. მანავში 5000 ტონა ღვინომასალის მოცულობის მანავის ღვინის ქარხანა 450 ჰა მიწის ნაკვეთთან ერთად. აღნიშნულ მიწის ფართობზე ჯგუფმა გააშენა საფერავის, მანავის მწვანისა და უნიბლანის ჯიშის ვაზი.

2018 წელს ჯგუფმა შეიძინა შპს „გურჯაანი აგრო“-ს 100 %-იანი წილი, რომლის საკუთრებაში არის 630 ჰა მიწის ნაკვეთი. 2019 წელს KTW ჯგუფმა, მოცემულ ნაკვეთზე დაიწყო საფერავის ჯიშის ვაზის გაშენება თანამედროვე სტანდარტების და ავტომატური საირიგაციო სისტემის გათვალისწინებით, რომელის სრული გაშენების პროცესი დასრულდება 2020 წელს.

2019 წელს KTW ჯგუფმა ქალაქ თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე, მოსახლეობისაგან გამოისყიდა საცხოვრებელი ფართები, სადაც დაგეგმილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

2019 წელს KTW ჯგუფმა კახეთის რეგიონში შეიძინა 6199 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. აღნიშნულ მიწებზე იგეგმება სხვადასხვა სახეობის მრავალწლიანი კულტურების გაშენება.

2020 წელს KTW ჯგუფმა პოლონეთში დააფუძნა კომპანია “KTW IMPORT & DISTRIBUTION”, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე პროდუქციის წარდგენა რეალიზაცია.

2020 წლის დეკემბერში KTW ჯგუფმა ორ წლიანი ვადით გამოუშვა 10 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები, რომლის მიზნობრიობა არის არაპროფილური საბანკო სესხების გადაფარვა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება.

2021 წელს KTW ჯგუფმა დაასრულა და საზეიმოდ გახსნა კიდევ ერთი (მცირე მასშტაბის) ღვინის ქარხანა ოზურგეთის რ-ნში, სოფ. ასკანაში, რომელიც ოპერირებას გააგრძელებს შპს „როიალ ასკანა“-ს სახელით. აღნიშნული ქარხანა მიიღებს და გადაამუშავებს დასავლეთ საქართველოში მოყვანილ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს, რომლიც შემდგომ წარმოდგენილი იქნება პრემიალური კლასის ღვინის სახით.

2021 წელს KTW ჯგუფმა მოახდა “Kindzmarauli Wine Village”-ის პროექტირება ქ. ყვარელში არსებულ 35,56 ჰა მიწის ფართობისათვის, სადაც იგეგმება თანამედროვე ევროპული ტიპის ღვინის სოფლის მშენებლობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება 51 ერთეული სხვადასხვა ზომისა და ტიპის ვილა, მოეწყო ინფრასტრუქტურა (სასეირნო ბილიკები, აუზები, სპორტული მოედნები, სხვადასხვა გასართობი ცენტრები, სავაჭრო ობიექტები და სხვა). ამასთანავე აღნიშნულ ტერიტორიის 7,5 ჰა-ზე გაშენდა საკოლექციო ჯიშებისაგან შემდგარი ვენახი. აქვე დაგეგმილია შესაბამისი ზომისა შატოს მშენებლობა, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება შესაბამისი მარნით სარგებლობის.

2021 წელს KTW ჯგუფმა სოფ. ველისციხეში გააფართოვა ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანა. ამ ეტაპზე ქარხანას გააჩნია სამი ყურძნის მიმღები საამქრო, რომელთა ჯამური წარმადობა არის 100-120 ტონა საათში.

ჯგუფი „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ორიენტირებულია მეღვინეობის დარგისა და ღვინის გზის განვითარებაზე საქართველოში.

2. ჯგუფის შედეგების მიმოხილვა

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა.

ჯგუფის ამონაგების არსებითი ნაწილი ფორმირდება რუსეთის და უკრაინის ბაზარზე პროდუქციის მიწოდებით. საომარი მოქმედებების დაწყებას მნიშვნელოვანი გავლენა ქონდა ჯგუფის ამონაგებზე. კერძოდ, უკრაინის და რუსეთის ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის მიწოდება. ომის დაწყების საწყის ეტაპზე პროდუქციის მიწოდება სრულად შეწყდა რუსეთის და უკრაინის ბაზარზე, რაც ნაწილობრივ აღდგა 2022 წლის მარტიდან რუსეთის ბაზარზე და 2022 წლის მაისიდან უკრაინის ბაზარზე. საომარი მოქმედებების განვითარების შესაძლო სცენარების და მოსალოდნელი შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი.

კახური ტრადიციული მეღვინეობა (KTW) აწარმოებს ღვინოს, ბრენდის, შუშხუნა ღვინოს და ჭაჭას 2001 წლიდან. ჯგუფი ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს ღვინოსა და ბრენდის წარმოებაში, როგორც საქართველოში, ისე კავკასიის რეგიონში. ამჟამად ჯგუფს აქვს ექვსი მოქმედი ღვინის ქარხანა, მათგან სამი კახეთში მდებარეობს, ერთი საგურამოში, ერთი გურიაში, ხოლო ერთი აჭარაში.

ძირითადი ბიზნეს მიმართულების გარდა, ჯგუფი 2011 წლიდან აქტიურად ჩაერთო მასპინძლობის სექტორში საკუთარი რესტორნებითა და სასტუმროებით, ხოლო 2015 წლიდან დაიწყო აგრო მიმართულების განვითარება და „ნენა“ ბრენდის ქვეშ აწარმოებს სხვადასხვა სახის კომპოტს, მურაბას, ჯემს, თაფლს და ტყემაღს.

KTW ჯგუფის რეალიზაციის შედეგი ძირითადად საექსპორტო ბაზრებზე მოდის. ბოლო ოთხ წელიწადში სექტორთან შედარებით ჯგუფი მაღალი ტემპით იზრდება, რაც განპირობებულია ღვინისა და ბრენდის ექსპორტის ზრდით.

საქართველო მე-10 უმსხვილესი ბრენდის ექსპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში. ბრენდის ექსპორტი ხორციელდება 37 ქვეყანაში, აქედან ძირითადი ბაზრებია უკრაინა, საფრანგეთი, რუსეთი და ესპანეთი. 2021 წელს რეკორდული რაოდენობის ბრენდის ექსპორტი განხორციელდა (+30% წ/წ), რაც რუსეთის, უკრაინის, სომხეთის და ევროკავშირის ბაზრებზე გაზრდილი მოთხოვნით იყო გამოწვეული. ბრენდის საშუალო საექსპორტო ფასები მცირდება სპირტიან სასმელებზე მსოფლიო ფასების ტენდენციების შესაბამისად. საბრენდე სპირტი ძირითადად ბრენდის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში იყიდება, მაგ. საფრანგეთი და ესპანეთი ქართულ საბრენდე სპირტს თავიანთი საბოლოო წარმოებისთვის იყენებენ.

KTW მხოლოდ ბოთლის ბრენდის ექსპორტს ახორციელებს და ბაზრის უპირობო ლიდერია ამ კატეგორიაში, მთლიანი ექსპორტის 19 %-იანი წილით. KTW ტოპ ექსპორტიორია აგრეთვე უმსხვილეს საექსპორტო ბაზრებზე. რუსეთის ექსპორტში მისი წილი 25%, ხოლო უკრაინის ექსპორტში 53%-ია.

ჯგუფის მთავარი კონკურენტები ბრენდის ექსპორტში არიან „ასკანელი ძმები“, „სარაჯიშვილი“ და „Bolery & Company“. ეს უკანასკნელი ბაზრის ლიდერია საბრენდე სპირტის ექსპორტში, ხოლო დანარჩენები ძირითადად მხოლოდ ბოთლის ბრენდის ექსპორტს ახორციელებენ. ყველაზე პოპულარული საექსპორტო ბრენდია „მველი კახეთი“, „ივერია“ და „ლეგენდა თბილისი“

KTW ჯგუფი, ისევე როგორც სხვა კომერციული საკმეიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საკმეიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე. KTW ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შეფასებისთვის ვიყენებთ ფინანსური კოეფიციენტების ანალიზს, რომელიც შედგება ხუთი ძირითადი კომპონენტისგან:

	30.06.2022	31.12.2021
ლიკვიდურობის კოეფიციენტები:		
მიმდინარე კოეფიციენტი	0.96	1.08
სწრაფი კოეფიციენტი	0.20	0.22
აქტივების მართვის კოეფიციენტები :		
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	456	356

- *მიმდინარე კოეფიციენტი* : მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან;
- *სწრაფი კოეფიციენტი* : მიმდინარე აქტივები მარაგების გამოკლებით შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან;
- *მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი*: საშუალო მარაგები შეფარდებული თვითღირებულებასთან გამრავლებული 365 დღეზე;

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

2. ჯგუფის 2021 წლის შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

	6 თვიანი პერიოდი 30.06.2022	6 თვიანი პერიოდი 30.06.2021
ვალდებულების მართვის კოეფიციენტები :		
პროცენტის გადახდის უნარი	0.36	1.61
ნორმალიზებული საოპერაციო მოგება	10%	18%
მომგებიანობის კოეფიციენტები :		
მოგების მარჟა	-3%	34%
უკუგება მთლიან აქტივებზე (ROA)	1%	4%
უკუგება მთლიან კაპიტალზე (ROE)	3%	11%

- *მიმდინარე კოეფიციენტი* : მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან;
- *სწრაფი კოეფიციენტი* : მიმდინარე აქტივები მარაგების გამოკლებით შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან;
- *მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი*: საშუალო მარაგები შეფარდებული თვითღირებულებასთან გამრავლებული 365 დღეზე;
- *პროცენტის გადახდის უნარი*: სესხებზე დარიცხული პროცენტის ხარჯი შეფარდებული ნორმალიზებულ საოპერაციო მოგებასთან;
- *მოგების მარჟა*: წმინდა მოგება შეფარდებული ამონაგებთან
- *უკუგება მთლიან აქტივებზე (ROA)*: ნორმალიზებულ საოპერაციო მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან;
- *უკუგება მთლიან კაპიტალზე (ROE)*: ნორმალიზებულ საოპერაციო მოგება შეფარდებული მთლიან კაპიტალთან.

მიმდინარე და სწრაფი კოეფიციენტის მიზნებისთვის მიმდინარე ვალდებულებები არ მოიცავს სესხების გრძელვადიან ნაწილს, რომელიც კოვენანტის დარღვევის გამო წარდგენილია მიმდინარე ვალდებულებებში (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 განმარტებითი შენიშვნა).

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის მიზნებისთვის მარაგები არ მოიცავს დეველოპერული მიზნით ფლობილ მიწა და შენობებს.

ნორმალიზებული საოპერაციო მოგება იანგარიშება საოპერაციო მოგებას გამოკლებული ცვეთა და ამორტიზაცია, გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება და ზარალი დეველოპერული მარაგების გასვლიდან (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნა).

მაჩვენებლების გაუარესება განაპირობა რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულმა გარემოებებმა.

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

KTW გეგმავს ოზურგეთში სასტუმროს და ხობის რ-ნში თხილის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნას



მასპინძლობის სექტორი



აგრო სექტორი

2022 წელს KTW ჯგუფი გეგმავს ხობში თხილის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას, რომლისთვისაც ჯგუფი მოახდენს 1,5 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას.

თხილის ბიზნესი საქართველოში მკვეთრად განვითარდა ბოლო 15 წელიწადში, რაც გამოწვეული იყო საექსპორტო ბაზრებიდან გაზრდილი მოთხოვნით და ექსპორტის პროცედურების გამარტივებით. შედეგად, საქართველო ტოპ-5 მწარმოებლისა და ექსპორტიორი ქვეყნების სიაშია. ექსპორტი ძირითადად ევროპის ქვეყნებში ხორციელდება.

50 - 58 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის


(ლარში)

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები (გაგრძელება)

2021 წელს თხილის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 115 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. თხილის უდიდესი ნაწილი ექსპორტირებული იქნა ძირითადად ევროკავშირის ქვეყნებში, როგორცაა: იტალია, გერმანია, ჩეხეთი, საფრანგეთი“. 2021 წელს თხილის წარმოებამ 45.9 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2006 წლიდან მოყოლებული მაქსიმალური მონაცემია და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 40 %-ით აღემატება. საქართველოში დღეს მოქმედებს 10-მდე თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, თუმცა არცერთს არ აქვს საკუთარი პლანტაცია.


KTW გეგმავს ამ ბაზარზე შესვლას და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ვერტიკალური ინტეგრაციის მეშვეობით, რაც გულისხმობს 200 ჰა-ზე გაშენებული თხილის პლანტაციიდან მიღებული თხილის გადამამუშავებას. გეგმის მიხედვით, ქარხანა სრული დატვირთვით 2024 წელს ამოქმედდება და ჯამურად ჯგუფს 5 მლნ. აშშ დოლარის წმინდა მოგებას მოუტანს, რაც 14%-იან წმინდა მოგების მარჯაში გადაითარგმნება:

თხილის წარმოება საქართველოში, ათასი ტონა



JAMNEWS-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით 2021 წელს წარმოებული თხილის ექსპორტმა 45,9 ათასი ტონა შეადგინა, რაც 28,8 % აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

საქართველოდან თხილის ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი და ექსპორტის საშუალო ფასი, აშშ დოლარი კგ-ზე



KTW ჯგუფის მიერ ხობის რაიონ სოფ. ნოჯიხევსა და ქვემო ქვალონში, 200 ჰა მიწის ფართობზე გაშენებული თხილის პლანტაციიდან 2021 წლის მიღებულმა მოსავალმა 4500 კგ. შეადგინა, რომლის საშუალო ფასი 6,5 ლარი იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში თხილის წარმოების და ექსპორტის შემცირებაც დასავლეთ საქართველოში აზიური ფაროსანას გავრცელებასთან პირდაპირ იყო დაკავშირებული. აზიური ფაროსანას

50 - 58 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები (გაგრძელება)

წინააღმდეგ განხორციელებულმა ღონისძიებებმა (საკარმიდამო ტერიტორიების და საყანე ფართობების თერმული ნისლით და ცივი შესხურებით დამუშავება, ფერომენების დამონტაჟება) შედეგი გამოიღო და ფაროსანას რაოდენობა შეამცირა. აღნიშნულმა კი თბილისის მოსავლის და ხარისხის ზრდა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ განაპირობა ის, რომ ექსპორტზე წინა წლებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობის თბილი გავიდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით KTW ჯგუფის მოლოდინი 2022 წლის რთვლის მოსავალთან დაკავშირებით 35-40000 კგ.-ია.

KTW ჯგუფის სასტუმროების ბიზნესის მიმოხილვა

KTW ჯგუფი განაგრძობს ინვესტიციებს ღვინის გზისა და სასტუმროების პორტფელის მიმართულებით.

ამასთანავე, ჯგუფის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ღვინის გზისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, 2018 წელს KTW ჯგუფმა გურჯაანის რ-ნ სოფ. ახაშენში საზეიმოდ გახსნა სასტუმრო სახელწოდებით **“AKHASHENI WINE RESORT”**, სადაც დამატებით ინვესტიცია განახორციელა და შენობის მიმდებარედ ააშენა თანამედროვე სტანდარტების მქონე სპა სალონი. ჯგუფი ასევე ახორციელებს ინვესტიციას სასტუმრო გურია პალასში. 2020 წელს KTW ჯგუფმა დაასრულა ქ. თბილისში, ორბელიანის მოედანზე სასტუმრო „ORBELIANI RESIDENCE“-ის სარემონტო სამუშაოები და მოამზადა იგი საზეიმოდ გახსნისთვის.


	ახაშენი	ორბელიანი	გურია
მდებარეობა	ახაშენი კახეთი	ორბელიანის მოედანი, თბილისი	ოზურგეთი, გურია
პოზიციონირება	საშუალო შემოსავლის ტურისტები	ბუტიკური სასტუმრო, მაღალი საშუალო შემოსავლის და საშუალო ფენა	ვიზიტორები
მიზნობრივი ჯგუფი	ღვინის ტურისტები, ადგილობრივი მოსახლეობა	ტურისტები	ტურისტები, ადგილობრივი ბიზნეს ვიზიტორები
დამატებითი მომსახურებები	მარანი, ვენახები, რესტორანი, საცურაო აუზი	რესტორანი, ყავის სახლი	რესტორანი, კაფე, საცურაო აუზი
გახსნის თარიღი	2018	2020	2022
ოთახების რაოდენობა	41	23	53
ძირითადი ძლიერი მხარეები	თბილისთან და ძირითად აეროპორტთან სიახლოვე, ღვინისა და ბრენდის გაყიდვა	ახალ-განახლებული ცენტრალური უბანი, ძირითადი ტურისტული ადგილები ახლოსაა	ოზურგეთის ბაზარზე პირველი სასტუმრო

KTW-მ დაიწყო ფართომასშტაბიანი ვენახების გაშენება

2019 წლიდან ჯგუფმა დაიწყო სოფლის მეურნეობის მიმართულებით მევენახეობის დარგის განვითარება კახეთის, ქართლის და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, შეიძინა და გააშენა ვენახები ათასობით ჰექტარ მიწის ფართობზე. საკუთარ ვენახებში მიღებული მოსავალი შეამცირებს კომანიის მიერ წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებას, ასევე შემცირდება ჯგუფის მიერ სესხის მოთხოვნა ყოველწლიურ რთველზე საბრუნავი საშუალებებისთვის. აღნიშნული ქმედებით გაიზარდა ჯგუფის მომგებიანობის უნარი, რაც მეტად კონკურენტულს გახდის მომდევნო 5-7 წლის განმავლობაში. კახეთის რეგიონში ქისის, ხიხვის, რქაწითელის, უნიბლანის, საფერავისა და კახური მწვანის ჯიშის ვაზი გაშენდა, შიდა ქართლში გორული მწვანის, ჩინურის, დანახარულის, ბუზას და შავკაპიტოს ჯიშის ვაზი, ხოლო რაჭაში ალექსანდროულ-მუჯურეთულის ჯიშის ვაზი. 2021 წელს KTW ჯგუფმა საგურამოში, გორში, დუშეთის რ-ნში და იმერეთში ქართლისა და დასავლური ჯიშის ვენახები გააშენა. 2019-2020 წელს გაშენებული ვენახების უმეტესობა საფერავია, ხოლო შემდეგ წლებზე შენარჩუნებული იქნება 60/40-ზე თანაფარდობა სხვა ჯიშებსა და საფერავს შორის საკუთარი 3,458 ჰა ვენახის სარგებელი არის წარმოების ხარჯსა და შესასყიდი ყურძნის ფასს შორის არსებული სხვაობა. ამ დაშვებით დათვლილი ვენახების IRR 27.3%-ს შეადგენს.

3. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები (გაგრძელება)

2019-25 წლებში გასაშენებული ვენახები სრულფასოვან მოსავალს 2028 წლისთვის მოგვცემს



ხელმძღვანელობის შეფასებით საკუთარი ვენახებიდან მიღებული ყურძენი არასაკმარისი იქნება კვლევის/კომპანიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 2025 წლამდე, სანამ ვენახები მიაღწევენ სრულ მოსავლიანობას. ვენახები სრულ მოსავალს მხოლოდ დარგვიდან 4 წლის თავზე აღწევენ. შესაბამისად, მათი ეფექტი KTW-ს შემოსავალზე სრულფასოვნად მხოლოდ 2028 წლიდან აისახება. ამ პერიოდამდე KTW-ს მოუწევს დამატებითი ყურძენის შესყიდვა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

KTW ჯგუფის SWOT ანალიზი და სტრატეგია

ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები:

ძლიერი მხარეები

- ✓ ბაზრის ლიდერი ძირითად საექსპორტო ბაზრებზე
- ✓ წარმოების მაღალი მასშტაბი
- ✓ პროდუქციის დივერსიფიცირება
- ✓ სწორი ფასდადების სტრატეგია
- ✓ ვერტიკალური ინტეგრაციის სტრატეგია

სუსტი მხარეები

- ✓ დივერსიფიკაციის ნაკლებობა
- ✓ რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი
- ✓ რისკ-მენეჯმენტ პროცედურების არარსებობა

S

W

O

T

საფრთხეები

- ✓ რუსეთთან პოლიტიკური დამაბულობა და ემბარგო
- ✓ რეგიონის ეკონომიკური პრობლემები
- ✓ სავალუტო რისკები
- ✓ ძირითად საექსპორტო ბაზრებზე რეგულაციებით ალკოჰოლის მოხმარების ან

შესაძლებლობები

- ✓ ევროპულ და აზიურ ბაზრებზე ზრდის შესაძლებლობა
- ✓ მომგებიანობის გაზრდა საკუთარი ვენახების გაშენების მეშვეობით
- ✓ ადგილობრივი გაყიდვების ზრდა
- ✓ პროდუქციის დივერსიფიკაცია

4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

ჯგუფის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დედა კომპანიის დირექტორი, რომელიც ასევე არის ჯგუფის 100% მესაკუთრე, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ჯგუფის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- გ) წარმოების განყოფილება;
- დ) მარკეტინგისა და გაყიდვების განყოფილება;
- ე) იმპორტ/ექსპორტის განყოფილება;
- ზ) შრომის უსაფრთხოების განყოფილება;
- თ) ოპერირების დეპარტამენტი;
- ი) ადმინისტრაციული განყოფილება;

ჯგუფის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა ჯგუფი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, ჯგუფის თანამშრომელი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით. ასევე, ჯგუფის თანამშრომლები სარგებლობს მენეჯმენტის მიერ შემუშავებული საბონუსე სისტემით.

საკადრო პოლიტიკა

KTW ჯგუფის წარმატება და მიზნობრივი წარმატება დამოკიდებული პროფესიული, კვალიფიციური და კომპეტენტური პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდზე. ჯგუფის მენეჯმენტი სისტემატიურად არის ჩართული პროფესიული კადრების მიებაში, ცდილობს მათი საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ახორციელებს ინვესტიციებს მათი პროფესიული განათლების კუთხით და ერთგულების წახალისების მიზნით.

ჯგუფის მენეჯმენტს ესმის ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და საჭიროება. მათ მიერ ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი სამუშაო პირობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. აღნიშნული პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჯგუფის მენეჯმენტი ზრუნავს თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

5. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

მაკროეკონომიკური პირობები

KTW ჯგუფის რეალიზაციის მცირე ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე მოდის. ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ პოლიტიკას. აღნიშნული გულისხმობს სისტემური რისკების გამოვლენას, შეფასებას, მუდმივ მონიტორინგსა და ამ რისკების შემცირების მიზნით საპასუხო ღონისძიებების შემუშავებას.

ჯგუფთან დაკავშირებული რისკები

ჯგუფი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას. წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შეძლებს ჯგუფი შეინარჩუნოს, წახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის.

ჯგუფზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო (საბანკო ანაზღაურებისა და სესხების დოლარიზაციის მიხედვით, ჯგუფის მომხმარებლების მყიდველობით უნარზე შეიძლება გავლენა მოახდინოს

5. ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ. ამასთან, ჯგუფს ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში.

KTW ჯგუფისთვის მნიშვნელოვან ბაზრებს რუსეთი და უკრაინა წარმოადგენს. ბოლო წლებში რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელებულია, უკრაინაში კი პოლიტიკური არასტაბილურობის მაღალი დონეა. მოცემული გარემოება წარმოქმნის რისკებს, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფის მიერ ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ამ ქვეყნებში არ გამოსწორდება რუსეთსა და უკრაინაზე ექსპორტის კონცენტრაციისა და ამ ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს, ძირითადი აქცენტი კეთდება ევროპულ და აზიურ ბაზრებზე და საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი სრულად გადაერთვება ახალ ბაზრებზე, რადგან ევროპულ და აზიურ ბაზრებზე ქართულ ღვინოზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც ალკოჰოლური სასმელების, სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის ჯგუფის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა. ჯგუფის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ჩვენი საქმიანობის გამო ყოველდღიურად ათასობით ადამიანთან ვურთიერთობთ. ჩვენ ფორმას ვუცვლით საგნებს, გარდავქმნით მათ და ვანიჭებთ მომხმარებლისთვის სასურველ სახეს. ჩვენ ყოველთვის ვზრუნავთ მომხმარებელზე, ვითვალისწინებთ მათ შეხედულებებსა და საჭიროებებს. აღნიშნული ქმედებით ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებას.

ჩვენი საქმიანობით ბევრ ადამიანზე ვახდენთ გავლენას - დაწყებული ფერმერებით, რომლებისგანაც პროდუქციას ვიძენთ, დამთავრებული ადამიანებით, რომლებიც ჩვენი ღვინის ქარხნების გარშემო ცხოვრობენ. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ადგილობრივი მოსახლეობის სტაბილურობაზე და სიამოვნებით ვუზიარებთ მათ ჩვენს წარმატებას, რათა დავეხმაროთ პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენი ყველაზე დიდი წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში ისევე ჩვენი ძირითადი საქმიანობით ხდება: სამუშაო ადგილების შექმნით, ადგილობრივ მომწოდებლებთან პარტნიორობით და გადასახადების გადახდით.

ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფის რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 30 ივნისს.

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ზურაბ ჩხაიძე

ფინანსური დირექტორი

კობა ხარხელი

ჯგუფი კახური ტრადიციული მეღვინეობა

შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

5. ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ. ამასთან, ჯგუფს ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც 2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითად წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში.

KTW ჯგუფისთვის მნიშვნელოვან ბაზრებს რუსეთი და უკრაინა წარმოადგენს. ბოლო წლებში რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელებულია, უკრაინაში კი პოლიტიკური არასტაბილურობის მაღალი დონეა. მოცემული გარემოება წარმოქმნის რისკებს, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ჯგუფის მიერ ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ამ ქვეყნებში არ გამოსწორდება რუსეთსა და უკრაინაზე ექსპორტის კონცენტრაციისა და ამ ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს, ძირითადი აქცენტი კეთდება ევროპულ და აზიურ ბაზრებზე და საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი სრულად გადაერთვება ახალ ბაზრებზე, რადგან ევროპულ და აზიურ ბაზრებზე ქართულ ღვინოზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც ალკოჰოლური სასმელების, სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვხილოთ არის ჯგუფის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა. ჯგუფის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ჯგუფი მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გადრეზავასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ჩვენი საქმიანობის გამო ყოველდღიურად ათასობით ადამიანთან ვურთიერთობთ. ჩვენ ფორმას ვუცვლით საგნებს, გარდავქმნით მათ და ვანიჭებთ მომხმარებლისთვის სასურველ სახეს. ჩვენ ყოველთვის ვზრუნავთ მომხმარებელზე, ვითვალისწინებთ მათ შეხედულებებსა და საჭიროებებს. აღნიშნული ქმედებით ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებას.


ჩვენი საქმიანობით ბევრ ადამიანზე ვახდენთ გავლენას - დაწყებული ფერმერებით, რომლებისგანაც პროდუქციას ვიძენთ, დამთავრებული ადამიანებით, რომლებიც ჩვენი ღვინის ქარხნების გარშემო ცხოვრობენ. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ადგილობრივი მოსახლეობის სტაბილურობაზე და სიამოვნებით ვუზიარებთ მათ ჩვენს წარმატებას, რათა დავეხმაროთ პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენი ყველაზე დიდი წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაში ისევე ჩვენი ძირითადი საქმიანობით ხდება: სამუშაო ადგილების შექმნით, ადგილობრივ მომწოდებლებთან პარტნიორობით და გადასახადების გადახდით.

ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფის რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 30 ივნისს.

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული შუალედური კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ზურაბ ჩხაიძე

ფინანსური დირექტორი



კობა ხარხელი